


ერეკლესიის
გაზეთი

საქართველო



გ. ბერიძე



I	ციცუნიება. ფერადი სურათი	227
II	ვაშა, გაზაფხულს ლამაზსა, ლექსი ჯადო გეგეჭკორისა	228
III	ფულის პონა, თარგმანი ტასისი	230
IV	არაბის ოჯახი უდაბნოში ა. ფ—სი.	234
V	როგორ დიასახლისობდა ქმარი. ნორვეგიული ზღაპარი ასბერნსონისა თარგმანი ან. წერეთლისა	238
VI	ციცუნიები ლექსი ა. ფხაჯაქესი	240
VII	მაკაკა (დასასრუდი) თარგმანი ეკ. მესხისა	248
VIII	ბელურას ჩივილი (ლექსი პროზათ) ჯადო გეგეჭკო- რისი	252
IX	ნადირობა სპილოებზე (თარგმანი) ტასისი	255
X	წვრილმანი და ახსნა	
—		
XI	გაზაფხული ლექსი გ. ქუჩაშვილისა	257
XII	დედა-მიწა და კუდიანი ვარსკვლავი ზღაპრული ამბავი	265
XIII	რაინდი (დასასრული) თარგმანი ეკ. მესხისა	273
XIV	მარკ ტვენის ბიოგრაფიული ცნობა	275
XV	ერთი ძაღლის ისტორია მარკ ტვენისა თარგმანი ინ. ფერაძისა	282
XVI	ცხოველები ცხელი ქვეყნისა. (ნიანგი) ალექსი ჭიჭინაძესი	

მიიღება სელის მოწერა

1910 წლის

ქ ე ქ ი ლ ზ ე

საქართველოს
საბჭოთაო



საქმავდილო ნასატებიანი
ქურონალი

იარდე მწვანე ჯეჯილო,
დაბური, გაბდი ყანო!..
ი. დ.

მაისი, 1910

◆ წელიწადი მეოცდაერთე ◆


თ ბ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეგდავი ანბ. „შრომა“, რუსსკაია ქუჩა, № 3.

1910

153.

ბერძნული
გრაფიკა



ვაშა, გაზაფხულს ღამაშსა!



მთარმა თვალი დასუჭა,
აბორცვდენ მინდორ-ველები;
ვაშა, გაზაფხულს ღამაშსა,—
მის გულ-შკერდს შამოველები!

* * *
წალკოტში აღზრდილ უვაგილთა

გვარქვს უთვალავი ფერები;
ვაშა, გაზაფხულს ღამაშსა,—
მის წიაღს მოვეფერები!

* * *
მინდორში ნაძი ბრჭყვიალებს,
ვით ძარგალიტის თვალეები;
ვაშა, გაზაფხულს ღამაშსა,—
მას უტრფი, კენაცვალეები!

* * *
სალამურს უკრავს ლაღაღა
მწვემსი მთაბარად მავალი:—
„ვაშა, გაზაფხულს ღამაშსა“,
უძღვნა სალამი მრავალი

* * *
გლესი მიწას სნავს... დიდინებს
სიმღერას კეთილ სმიანსა:—
„ვაშა, გაზაფხულს ღამაშსა“
და დღეებს იმედიანსა“!

ლადო გიგეჭკორი.

ფულის ჰოენა.



რთი ძეგობარი მეორე ძეგობარს-
დენადლან, რას ფულს სადმე ქვი-
ძაში ჩაფლავს და ამის ძაღლი
იზოვნის და მოიტანს; ფულს ნი-
მანი გაუკეთეს და გ'სა'ხე ქვიძა-
ში ჩაფლავს. მერე უბრძანებს ძაღლს
ეზოვნა.

ამ დროს გ'სა'ხედ ცხენოსან-
მა კაცმა გაიხრა. ცხენმა ჩ-
ქით ფული ამოგდო. კაცი და-

სწვდა, აიღო, ჯიბეში ჩაიღო და წავიდა თავის სა-
სტუმროში. როდესაც ძაღლი მივიდა იმ ადგილას,
საცა ეგულბოდა ფული. — ალელუდა და მაშინვე ცხე-
ნოსანს გამოუდგა, მიჰქევა სასტუმროში. იქ შეუვარდა
კაცს, დაწყო ხტუნაობა, გარძეშო უტრიალებდა, რა-
დგან მიხვდა, რომ მას ფული ჯიბეში ჰქონდა. კაცს
გაუკვირდა ამ ძაღლის ალერსი, აჭამა და თავისთან
ღამით დაიტოვა. როგორც კი კაცმა გაიხადა ძაღვა-
რი, ძაღლმა მოსტაცა. კაცს ეგონა მეთამაშებო და
წაართვა. მაშინ ძაღლი მოჰქევა ეეფას და კარს ახტე-
ბოდა. კაცს ეგონა, ძაღლს წასვლა უნდაო და კარი
გაუღო. ძაღლმა მოიტაცა შალვარი და მოჰკურცხლა.

კაცს შალურის ჯიბეში ფულით ქისა ჭკონდა და
 მაშინვე ძაღლს გამოუდგა. ძაღლი შევარდა თავის
 ტრონის სახლში. ძაღუ ქაქანიო კაციც მივიდა და
 გაჯვარებული წამოიძანა:

— თქვენმა ძაღლმა გამქურდა.

— არა, უნასუსა ძაღლის ჰატრონმა. ჩემი ძაღლი ძალიან სვინიდიანიანია, მან მოგტაცათ შალვარი ძირომ, რომ მის ჯიბეში ჩემი ფულია, რომელსაც ნიძანი აძკვს. თქვენ გეპოვათ გ'საძი და ძაღლმა იგონო, რომ სწორეი თქვენ წამოგვიდათ.

კაცი მაშინვე დაცხრა, დამძვიდდა. უკვირდა ძაღლის გამჭრიახობა, დაავიწყდა თავის უკმაყოფილობა — აღტაცებით ძაღლს სელი გადუსვა და მოკალერსა.

(თარგმანი)

ტასო.



არაბის ოჯახი უდაბნოში.



უდაბნოში, სადაც ირგვლივ მარტო-
 სილა სჩანს, სადაც მზე ისეთი
 მსურველვა, ისე ახურებს ამ სი-
 ლას, რომ შივ ჩადებული კვერცხი
 შეიწვეება, სცხოვრობს ხოლმე არა-
 ბის ოჯახი. არაბებს სახლები არა აქვთ: და სცხოვ-
 რობენ კარვებში. აქ მათ არც სკამები, არც ქვეშაგები
 აქვთ. მათ ნივთიუკს შეადგენს ბალიშები და ხალიჩები.
 დღითი ისეთი სიცხეა უდაბნოში, რომ ეველანს სძი-
 ნავს. საღამოთი, როდესაც ცოტათი აგრილდება, ოჯა-
 ხის უფროსი დაჯდება კარავის შესაჯალიან და აბო-
 ლებს გრძელ ჩიბუხს; ამ დროს ბავშვები თამაშობენ
 იქვე სილაში, დედა და დები კი მუშაობენ: ართავენ,
 ჰკერავენ, საჭმელს ამზადებენ. ბევრი საქმე აქვთ. ცო-
 ტა ხნის შემდეგ ვახშაბიც მზათ არის ხოლმე. ოჯა-
 ხის ძაბა კაცი ვახშობს მარტო, დედა კი ეძსახურება;
 ცოლი და შვილები ვახშობენ ცალკე. ასეთი ჩვეულება
 აქვთ არაბებს.

არაბები სდგამენ კარვებს წუაროს ახლო. ეს წუა-

რო ამოსეთქს სოლმე სიღაში. მორიდანვე შეიძლება, იგოთ, სად არის ასეთი წყარო; სადაც წყაროა, რამოდენიმე ჰაღმის ხესაც დაინახავთ. როდესაც მიწური ცხოველები შესჭამენ, რაც კი გარშემო შესაჭმელია, როდესაც ხეებზედ აღარაფერი ნაყოფი აღარა რჩება და მზე გააშრობს ამ წყაროს, მაშინ არაბის ოჯახი აჭკრეფავს თავის ბარკს, დაკეცავს კარავს, დატვირთავს აქლემებს და ახლა სხვა წყაროსაკენ მიემგზავრება. მდიდარ არაბს რამოდენიმე აქლემი ჰქვავს: ერთზე დააწყობენ ბალიშებს და სანოვაკეს, მეორეზე ჩამოჭიდებენ ტუპის ტომრებს წელით, მესამეზე შედებენ კარავს. მთელი ოჯახი ასე მოგზავრობს აქლემებით და ოჯახის უმფროსი კი წინ გაუძღვება სოლმე არაბული ცხენით.


დილა აღრიანათ, როდესაც მზე ამოსულას დააზირებს. მთელი ქარავანი გაუძღვება გზას. ხანდახან რამოდენიმე დღე მოუსდებათ სოლმე მოგზავრობა, სანამ შესვდებათ წყარო და მის ირგვლივ ხეები. წყალი დასაჭმელი რო არა ჰქონდეთ ამათ წაღებული, სიმძილისაგან და წუურვილისაგან დაისოცებოდენ, ისეთი მხელი საძოვნელია უდაბნოში წყალი და საკვები.

აქლემი, როგორც კი იგრძნობს წელის სიანლოვებს, მოუმატებს სირბილს, რომ ჩქარა მიუახლოვდეს იმ სასიქადულო ადგილს.

რა სიხარულით ეგებებიან სოლმე უველანი ანკარა წყაროს და ჰაღმის ნაყოფებს! საჩქაროდ დასცე-



შენ კობავს ერთი ამ.სიონსა აღვიდის და მადლიერებით
 ოჯახი დაბინავდება, ამ ახელ აღვიდისე. ამ მადლ



ზღვების ჩრდილოს ქვეშ დარჩებიან ეს არაბები, სა-
 ნამ არ შესწავტენ ეველა ნაუოფს, სანამ სიცხისაგან
 არ გაშრება წყარო, შერმე ისეუგადგებიან გ'ხას. ასე
 ატარებენ არაბები მთელ თავის სიცოცხლეს

არაბებს აცვიათ თავისუფალი ტანისამოსი ვერცხვითი
 ვრები გზიერი, თავზე მოსკეული აქვთ თხელი ქსო-
 ვილის ნაჭერი. ეს დასვეული ნაჭერი თავს კარგათ
 ფარავს მზის მწვავე სხივებისაგან.

ზატარა არაბი იზრდება, როგორც თავისუფალი
 ფრინველი. თვით ცხოვრება აჩუქს მას სეტილს.
 სულ ზატარაობიდანვე ის არჩევს ეოველ ბრწეინვადე
 ვარსკვლავს ცაზედ. სწავლობს ეოველნაირ საქმეს,
 რომლებსაც მისი მშობლები აკეთებენ. მას არ ემი-
 ნიან არც ქარიზხლისა და არც ჭექა-ქუსილისა.

ჯერ სულ ხალხი არაბი, ხდება ნაძვლილი უდა-
 ბნოს შვილი.

ა. ფ.





როგორ დიასახლისობდა ქმარი.

(ნორვეგიული ზღაპარი ასბერნსონისა)



ეყო და არბ იყო რა, იყო ერთი სოფლელი კაცი, საშინელი ბუხლუნა და მიხეცების მომღები. ცოლი ვერას გზით გულის ვერ მოუკებდა. რაც უნდა ემუშავა ამას, რაც უნდა გაეკეთებინა, ქმარს არაფერი არ მოსწონდა. ერთხელ დაბრუნდა სათიბიდან და დაიწყო ბუხლუნი და ლანძღვა.

— ნუ ჯავრობ ჩემო კარგო! უთხრა ცოლმა — მოდი სვალიდან გამოვცვალოთ ჩვენი სამუშაო. მე წავალ მოჯამაგირებთან ერთათ სათიბათ და შენ სახლში დიასახლისათ დარჩი.

ქმარს ეს აზრი მოეწონა და დაეთანხმა. დილა ადრიანათ ცოლმა მსრებზედ ნამკალი გადიდო და გასწია სათიბათ, ქმარი კი დარჩა სახლში საოჯახო საქმეების საკეთებლათ. ჯერ მოინდომა კარაქის შედღვება, ერთი საათი ძლივს იმუშავა, საშინლათ მოსწუწურდა და ლუდის ამოსაღებათ ჩავიდა სერდაფში. ლუდის ამოღების დროს უცბათ მოესმა, რომ სამსარეულოში გოჭი ჭეპარულიყო. საჩქაროთ ზირობინა მადლა, ხელში ძერჩა ბოჩკის საცობი, ჩქარობდა, უნდოდა მოესწრო, რომ გოჭს არ გადაგებრუნებინა სადღვებელა. მენი მტერი, გოჭი კიდევ სლანაჟდა სა-

ჭოს. კაცი გააფთრდა, დააქიწვდა რომ ბოჭკა მანქანაში
ბეული დარჩა სარდაფში. ვამოუდგა გოჭს, ბოლოს კა-
რებში მოასწრო და ისეთი წიხლი ჩახალა, რომ გო-

ჭი იქვე გა-
იჭიხა. ამას

მხოლოდ

ახლა მოა-

გონდა, რომ

სელში შერ-

ხენია ბოჭ-

კის საცობი,

ჩავარდა მა-

შინვე სარ-

დაფში, მაგ-

რამ ლუდი

ერთიანთ

დაღვრილი-



ყო. რადან უშველიდა, შვეიდა საკუჭნაოში, ბედზე იქ-
ნახა შენახული აუარებელი ჩაღები და იმითი გაავსო-
სადღეებელი. უსათუოთ უნდოდა სადილისთვის კარა-
ქი მოემზადებინა. დღეებ, დღეებ და უცბათ მოაკონ-
და, რომ ძროხა უსმელ-უჭმელი ბოსელშია დაძწევდე-
ული, დრო კი კარგა გასული იყო და მინდორში გაგ-
დება დახარდა. მოინდომა მისი სახლის ბანხედ აუკანა.
ზანი დახურული იყო ცოროვით, იქ მსუქანი და ნო-
ვიერი ბაღახი ამოსულიყო. რადგან გლეხს ეძინოდა-



სამსარეულოში მიტოვება სადღვებელის, იქ ჰყავდა
 შვილი იატაკზედ დაცოცაჲდა და შესაძლო იყო, რომ
 ახლა ამას გადაებრუნებინა სადღვებელი, გლესმა აი-
 კიდა ზურგზედ სადღვებელი და გაჰქვა ძროხას, ძაგ-
 რამ ძროხისთვის ჯერ წვალი უნდა დაეღვევებინა.
 აილო ტოლხა ხელში, უნდა ჭიდან ამოელო წვალი, ამ
 დროს საჭო ზედ თავზედ გადმოესწა. შიგ აღარაფერი
 დარჩა და შუადღემ კი მოაწია. ძროხა აიყვანა ბანზედ.

— მოდი, შეჭამადს მანც შევდგამ. დასდვა ცუც-
 ხლზე წვალი ახადღვებელათ... ამ დროს მოაგონდა, ვაი
 თუ სახლის ბანიდან ძროხა ჩამოვარდესო, ფეხები და-
 იმტვრიოსო, ან კისერი მოიტეხოსო. მაშინვე ავიდა
 ბანზე და მოაბა ძროხას კისერზედ თოკი. ეს თოკი
 ჩაუშვა სამსარეულოს საკვამლეში. და როდესაც და-
 ბრუნდა სამსარეულოში თოკი მიიბა ფეხებზე. წვალი
 დუღდა, დაუწყო შეჭამადს ძორევა. ურია, ურია იმ-
 დენი, სანამ არ მოიღალა... ამ დროს ბანიდან ძროხა
 გადმოვარდა, გლესი კი თოკმა ფეხებით საკვამლისა-
 კენ აიტაცა და შიგ გაიხსირა თავდა ყირამალა. ძრო-
 ხა კი ჭაერში ჩამოიკინწიალა.

ცოლმა უცადა, უცადა, როდის დამიმასებს ქმარი
 სადილათაო. ვერა ეძუელა რა და სახლში მოირბინა.
 ჭხედავს, ძროხა ჭაერში ჭკიდია, საჩქაროთ ნამკლით
 გადასწრა თოკი. ამ დროს უცბათ ქმარმა საკვამლი-

დან ტყაპანი მოიღო და 'ხედ შეჭამადის ქმარს' შექმნა დაუცა.

ასეთი დიასახლისობა გასწია ქმარმა თავის ოჯახში.

ან. წერეთლისა.



ც ი ც უ ნ ი ე ბ ი .



ციცუნია ციციუნის
გაეჯობრა ნაჲარდშია.
ბანჯღვლიანი ეუბნება
ეელ-კანაფას, დარბაზშია:

— შენ სიმარდე არ გაკლია,
მაგრამ მე ვერ შექედრები;
თუ არ გჯერა თჲლისი უძალ
მაგიდასუდ აგვარდები.

ეელ-კანაფამ იუჯნოვა,
— როგორ, მე კი ჩამოვრჩები?!
ციცუნია ნუ ვეოყილვარ
თუ შენს მალლა ვერ შევსტები.

ერთათ შესტენ მაგიდასუდ,
თათი თათს ჰკრეს, კუდი ბზიკეს,
იფხუკუნეს, იკრუტუნეს
და ერთმანეთს თათი მისცეს.

საწერელი, მელნით სავსე,
ცელქობაში დააქციეს

და კუთხეში თაგუნია
 აკუჭკუჭეს და აცინეს.

დაითხუზნენ: თვით მაცედა
 და რაც ეწეო მას'დ მელნით.
 სასაცილო რამე გახდნენ,
 რომ ვერ ასწერს კაცი ხელით.

აიბუსხენ, აიზრიხნენ,
 განცვიფრებით იწეეს მხერა.
 დახედეთ ბედს, ამ დროს ნუცას
 შემოესმათ მათ სიძღერა.

გაწიქაღლისა შეუძინდათ,
 შეაფარეს ლოგინს თავი
 და იქიდან ნუცას სეირს
 მიაყოლეს ცალი თვალი.

ა. ფხალაძე.



მ ა კ ა კ ა

(კატეგორია)



აკაკა თუ ვინცობაა რასმეს ვას-
ტესდა, როდესაც დედამეი შინ არ
ყოფი, გაიანე განკებ ნანტვრევეებს არ
აჭკრეუდა, რომ დედას ენასა და ეკი-
თხა: ეს ვინ დაძკეროიო? მაშინ უზახსებდა:

— რასაკვირველია, თქვენმა მშენიერებამ, სხვა
ვინ იწამდა!

როდესაც მკაკა ბაწარს გაიწვეუტდა, მიხა შეშინე-
ბული საძინარეულოში გარბოდა, გაიანე ეუბსებოდა:

— რისა გეშინიან? რას გამორბისარ? ის შენ
ვასართობათ და სათამაშოთ მოგეუვანეს, წადი და
ეთამაშე.

ამ კადამტერებან ცუდი შედეგი მოჭევა.

ერთხელ დილით საშინელი უვირილი და წრიზი-
ნი შემოგვესმა. ამ სმაურობასე ეველანი ოთახისაკენ
გავუქანეთ. გაიანე კუთხეში მიკუნტულიყო და მკაკას
იკერებდა. ორივენი ისე საშინლათ კიოდნენ, რომ
იმათ სმებს ვერც კი ვარჩევდით. თურმე მკაკას ბა-
წარი გაეწევიტა და თავის მტერს დასტაკებოდა. გაი-
ანე განსაცდელისგან რომ გამოვიხსენით, იმან გამო-



გვიცხადა, რომ ის ამ სახელში ვეღარ დარჩება, ^{მეცხელნი} გან ეს უწმინდური ემძაკი სდევნის. ჩვენმა თხოვნამ და რჩევამ ვერ ვახსრბა. მეორე დღეს გაიანე ჩვენთან გამოსათხოვრად შემოვიდა. მაკაკამ როგორც კი იმისი სმა გაიგონა, ისკუპა და გაიანეს გვერდით გახსნა, კალა მაკაკას მიუბრდა, მაგრამ ფეხი გაუსცურდა და იატაკზე დაეცა გაიანე შემინებული ცაიქცა, მბიშნი უკან დაეღვენა, ჩვენც მაკაკას გამოუღვეით და როგორც იყო დაუჭირეთ; მისო კი თურმე შემინებული სკიურის უკან მიკუნტულიყო.

ეველანზე უფრო მაკაკას ჩვენი უფროსი ძმა უვარდა, აქნება იბიტომ, რომ იმას წვერ-უღვაში აქვს და ბიბია ლუოს აკვანებს, ან აქნება უფრო კიდევ იბიტომ, რომ ის ალერსათ ეპერობა. როგორც კი მაკაკა ჩვენ ძმას დაინახავდა, ის ნახის ხმით უძანოდა, რომ მიუახლოვებულიყო, მაშინ მსრებზე შეასტებოდა და ხილავდა.

ორი ეველანზე უფრო ძრეელი გრძობა აქვს მაკაკას: შიში და ცნობის-მოუვარეობა, მაგალითად: იმას დასაგველი იატაკის ჩოთქისა ძალიან ეძანოდა, რომ როგორც კი დაინახამდა, ძაღლა ახტებოდა და მიიძაღებოდა, კბილებს აკრავსუნებდა და ღძუოდა; მაგრამ ბოლოს ცნობის მოუვარეობამ დასძლია, ჩოთქს მიუახლოვდა, გაშინჯა და შიშმაც გაუარა.

ჩვენ გვუბანს ძაღლი „მასხარა“. როდესაც მაკაკამ ზირველად დაინახა, ძაღლიან შეეშინდა, შორს გა-

დასტა და კბილები დააკრატუნა, „მასხარამ“
რადღებო არც კი მიბეჭდა. მაკაკა ფროსილად

სლოვდა და
თათები შე-
ახო: მასხარ-
ამ არ განმ-
რეულა; ბო-
ლოს ძაბიშუ-
ნი უფრო
გათამამდა
და სურვსე
შეახტა. მა-
სხარამ დამ-



შვიდებული იდგა ერთ ადგილას. ესლა ისინი დამე-
გობრდენს, ერთად თამაშობენ. მაკაკა უსილავეს და ძალ-
ლი სიამოვნებით ვირობებს.

ერთხელ ბავშვებმა კატა მოიყვანეს, მაკაკას უნ-
დოდა ახლო გაეცნო და შეეთამაშა. კატას არ მოე-
წონა და გაიქცა.

ჩვენ შემო სართულში ერთი ემაწვილი-კაცი ცხოვ-
რობდა, მაკაკას იძისი წვერ-ულვაში და სქელი სუჭუ-
ჭი თმა ძალიან მოსწონდა.

ერთხელ რიქრაქსე მაკაკა შემო სართულში ანა-
რულიყო და ჰირდაჰირ იმ ემაწვილის ოთახში შესუ-
ლიყო. ჯერ ოთახის ქეპა დაუწვავა, მერე ტანისამო-
სის შკაფის კარები გაუღია და ტანისამოსი აუქოთე-



ბია. უმაწვილს გამოღვიძებია, თავკი ჰკონებია და
დაუცაცხანებია.

დღესული
ხიზლიძის

შემდეგ მაკაკა საწოლთან მიანლოვებულა და ზედ
ლოკინზე შემსტარა. უმაწვილს შემინებია, ქურდი გო-
ნებია და რეკოლვერი აუღია ხელში, სანთელი აუნთია
და უნახავს, რომ მაკაკა ბალიშზე წამოსკუპული იყო
და თმისა და წვეწო-უღვაშის ქექას უპირებდა.

ამას სწორედ ის ნივთები უევაზს, რომლების ხე-
ლის ხლებას უკრძალავს: სათითო, მაკრატელი და კბი-
ლების საწმენდი ჩოთქი. რომელიმე ამ ნივთებთაგა-
ნი თუ ხელში იგდო, იმის გამოართმევა ძალიან ძნე-
ლია, უვირის, კბილებს აკრაჭუნებს და იკბინება. თუ
რომელიმე ნივთი ძალიან მოსწონს, ის მაგრა გულ-
ში ჩაიკრავს. ტუჩებს აწლაკუნებს და იმისთანა ხვე-
წნით კიცქერის, რომ შეგვეცოდება ამ ბედნიერების
მოკლება და თავს დაანებებ. მაგრამ ვაი იმას, ვინც
ძალით წაართმევს. ის უთუოდ დროს ჩაიგდებს და
სამბეიეროს გადაუხდის.

უველაზე უფრო მაკაკას დედა ჩვენის სათვალეები
მოსწონს. თუ ვინიცობაა დედას ხელზე დაავიწყდა, ან
იმისთანა ადგილას დასდო, რომ მაკაკას იმისი ადუ-
ბა შეეძლება და სათვალეები ხელში იგდო, ცდილობს,
რაც შეიძლება ძალე დაამტკრიოს. იმან კარგად იცის,
ვისი სათვალეებიც არის და ვინც უნდა წააღვას,
ის ძაინც თუ მოასწრებს, უთუოდ დედას უკბენს.

ერთხელ ძაინც იმან სათვალეები ხელში იგდო, ბუდე



დახია და სათვალეები ნაკუწ-ნაკუწათ აქცინა. ერქონსული
სკოლის
თუბა, რაც მაკაკა ჩვენთან არის. ბევრი სარბლი მო-
გვაუენა: ჭურჭელი დაამტვრია, ძელანი დაღვარა და
თითონაც შიგ აძოითუთხნა. ნამეტანი მოძრაობით
თავის თავსაც ავნებდა სოლმე. ერთხელ ცხელი წყლით
ჩინიკი გადმოაბრუნა და საშინელის ევირილით გადა-
სტა, საბედნიეროდ მარტო ცალი თათი დაითუთქა.

ერთხელ მაკაკა გაღებულ სარკელიდამ გარეოთ გა-
მოიძარა, ჩვენ მაძინ მესამე სართულში ვიდექით და
სედ სახლის სახურავსე აცოცდა და დასტოდა. ძალი-
ან შეგვეძინდა, ეველანი კაბების ამართ კაზში გამო-
ვარდით და ვევიროდით.

— კიბე მოიტანეთ, კიბე, — ევიროდა ნატო, მა-
გრამ კიბე არ იყო.

— კოლა, გაგიქდი! — ჰევიროდა დედა, როდესაც
ნახა, რომ კოლა წვიმას წელის ღუღასე ძაღლს მი-
ცოცავდა. — ჩამოვარდეთ, ეხლავე ძირს ჩამოდი!

ამ ჩვენს ევირილსე ბლომა ხალხი შეიკრიბა.

— უუურე, უუურე, — ევიროდნენ ბავშვები, მამუ-
ნია, მამუნი!

— ეინ მოცდათ, სად იმოვნეთ? ჩაკვადცივდა ერ-
თი ჩასუქებული დედაკაცი.

— დედა! სომ გაიყინება, — თითქმის ტირილით
იძანდა ნატო.

მისა კი ოთახებში დაბოდა აღელვებული და
რალასაც გვანიშნებდა.



ბოლოს მაკაკას ისე შესცივდა, რომ ერთ კმელს მიეკრა. საჩქაროდ სარკმლის ჩარჩო დეთ და სახლში შევიუკანეთ. მაკაკა კანკალებდა და ახველებდა. ზირუტეების ექიმი მოვკვარეთ. წაძალი დაუწერა და მაკაკა დიდის სიამოვნებით სვამდა.

ერთხელ კიდევ მაკაკას უბრალო ქინძისთავი ეპოვნა და ზირუტი ჩაეღო, დიდხანს ეცადა, ქინძისთავი ზირიდაპ გამოეღო და ვერ მოახერხა. ნატო მივიდა, დაუწოქა, მაკაკამ თვალეობი დასუჭა და ზირი გააღო. ნატო დიდხანს ეწვალა. მაკაკა კი ჩუმათ და მოსვე ნებული იჯდა.

ამ ორ თვეში მაკაკა ძალიან გაიზარდა და გასუქდა. ის ვეელაფერსა სჭამს: ზურს, მწვანილეულებას, ხილს და სორცსაც კი, თუძცა ძალიანა სწეინს. როდესაც რამე საჭმელი მოსწონს, ის სამზადისათ ინახავს იმ ტომარაში, რომელიც ლოყებთან ტვაუქვეშა აქვს.

სასმელებში მაკაკას ვეელაზე უფრო ჩაი უეუარს. როდესაც ჩვენ ჩაისა ვსვამთ, სკამის მისაუღებელზე ზის, თავს უკან გადაიკდებს და ვვირის. თუ ვინიცობაა დაუკვიანეს და ჩაი დროზე არ მისცეს, ის უკანა ფეხებით და კუდიო ცდილობს ფინჯანს მისწვდეს. ეუვას არა სვამს და არც უეუარს.

უხდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი საუეარელი მაკაკა ძალიან ბინძურია. იძას სსვის ქექა და წმენდა უეუარს. მაგრამ თითონ თავის თავს არა დროს არ იწ-



მენდს ხოლმე. ეს უთუოდ იმიტომ, რომ ერთმანერთს სწამენდენ და თავიანთ თავსე არ ფიქრობენ. ჩვენ ფესებს და თათებს ვბანთ და ტანს ჩოქით უწმენდავთ. ბანებით ვერ გვიბანებია, რადგან გვეძინიან არ აწეინოს. წებლი ძალიან ეჯავრება, თათების და ფესების ბანებაც კი ეჯავრება.

— მაკაკა, აბა შენი თათები მომეცი, — ეუბნება ნატო და სელში სველი ტილო უჭირავს. მაკაკა გომორს გაუბრძის, ისე რომ ძალით უწმენდს ხოლმე.

ჩვენი მაკაკას ამბავი ერთ ვიღაც მეორჯანოს გაეგონა და ერთ დღეს ვიღაც ბერძენი შეძოვიდა და რაღასაც ბუტბუტებდა.

— მაძიქნი მოკვდა, შიმშილით უნდა მოკვდე.

დღას ეგონა, რომ ფულსა სთხოვს, მისცა, მაგრამ ის ადგილიდამ არ იძროდა.

— შიმშილით ნუ მომკვდავ, მაძიქნი მოკვდა, მკვლარობა არ შეიძლება.

დღას ეგონა, რომ ძმეურია, ჰური მისცა, მაგრამ არ იღებს და დაბლა თავს უკრავს.

— მითხარი, ქალბატონო, მაძიქნს რას აფანსებ, უმაგისოთ არ შამიძლია.

— შიმშილით უნდა მოკვდე.

ესლა კი დედა მიხვდა, რა უნდოდა ამ ბერძენს.

— არა, არა, — უთხრა დედამ, ჩვენ მაძიქნს არ ვეიდით, ეს მაინც არ ვარება, შენ არ გამოვადგება.

ბერძენი ყურს არ უკდებდა.

— ვინდა ათ მანეთს მოგცემ? ამბობს ^{საქართველოს} ~~ქვეყნის~~ არა მაქვს, ჩემს ამხანაგსა აქვს.

— არა, არა, საჭირო არ არის, წადი აქედამ.

მაგრამ ის აღგლივდამ არ იმუროს და სულ ეს-
ვეწება, ბოლოს როგორც იყო გავისტუმრეთ და გა-
რებიდამ მაინც ევიროდა:

— აიღე, ქალბატონო თხუთმეტი მანეთი, უმაი-
მუნოთ არ შეიძლება, შიმშილით მოგაკვდები.

ჩვენ მოუთმენლათ თბილ დღეებს მოკვლით, რომ
მაკაკა სასვირნოთ წავიუვანოთ, იმას სითბო ძალიან
უყვარს. როდესაც ბუხარში ანთებულ ცეცხლს დაინა-
ხავს, ის აღტაცებაში მოდის და ესლა, როდესაც სარ-
კმელიდან მზე შემოანათებს, მხის შუქის დაჭერას ცდი-
ლობს.

ზაფხულში სოფელში წავიუვანოთ და ის თავისუფ-
ლათ ირბენს. ჩვენ გვგონია, რომ ეს შესაძლებელია,
რადგან ისე შეგვიჩვენა, რომ როგორც კი დაუძახებთ,
მაშინათვე მორბის.

როგორ იცხოვრებს მაკაკა სოფელში, ხეებზე რო-
გორ ირბენს და ვაძლს თითონვე მოჭკრებს, როგორ
მოეწეობა ის სოფლის ესოდნ ძრავალ სხვა მცხოვ-
რებლებთან: ოთხფეხთან და ფრინველებთან. რასაკვირ-
ველია ეს ეველაფერი ძალიან საეუროდებო იქნება.

ბელურას ჩივილი.



(ლექსი პროზითა)

ემო გვრიტებო!

მომორებული სამშობლო მხარის
 ტებელ მიდამოებს და შორს... შორს
 თქვენგან ვადაგარგული, გაწვდით ჩემს აძბავს, გწერთ
 ამ წერილსა, რომელსაც მრავლად ჩაურთე ჩემი სუ-
 ლის და გულის სურვილ-ვნებანი და რომელსედაც
 კვლავ დავატრქვიე დუსჭირ ბედითვან გამოწვეული
 მწარე ცრემლები:

უსამართლობა გამოიჩინეს!... თქვენ მაძინ ახლად
 დამებადენით, სულ ზატარები მახსოვს იუავით, რა-
 დესაც კვლავ დევნა დამიწვეს!.. შემურდათ იმათ ჩემ-
 თვის ჰბერი, და ხის ტოტსედ გაძენებული ზაწია ბუ-
 დე მთლად დამინგრეს! რა დავაძავე? ვის რა წაგარ-
 თვი? ვცხოვრობდი ჩემთვის ბუნების შვილი და ჩემს
 სასრუნავს ის შეადგენდა, რომ თქვენ გივლიდით,
 თავს გველუბოდით!.. კიდევ კარგი, რომ ვადაგარჩი-
 ნეთ! სათუთად ზრდილნი ვერ ვადიტანდით უსახლ-
 კარობას, სიცავეს, სუსსსა!..

მაგრამ აქ ბედმა მთლად არ ვაგვრიე! მაძინ ევე-
 ლანი მძასთან წავასხით, იმასთან ჰბოვეთ თქვენ ევე-



ქვეყანაში, მოვძორობოდი ნაცნობ ადგილებს, მსგავსებს
 მესძინა ტკბილი ნაკადულის დაუძრეტილი ჩუხჩუხ-
 ჩხრიალი, აღარ მენახა ჩუენი ბაღები, მთის ფერდო-
 ბებზე გასქენებული, ვკლად გაშლილი კოხტა ვაზები!
 კადმოვიარე მალაღი მთები, კადვუმაღლე ჩემსა საუვა-
 რელ ნახსა სამშობლოს!

* * *

სუსხმა მოძწამლა, სიცვიემ მჩავრა! არავის არ-
 გებს ჩუენგანს აქ ეოფნა. სშირად თოვს და წვიძს,
 სშირად ქარი ჭქრის, მძლავრი სიცვიე ირგულივ ბა-
 კონობს... ვარდი არ უვავის, იას ვერ ვხედავ, სუძ-
 ბული არ კრთის, წაძბანს აღარ აბნევეს სურნელსა!
 ათასი ტანჯვა გამოვიარე, სიმწრის ცრემლები ბეგრ-
 ჯერ დავღუარე! თან თქვენზე ფიქრმა, თან უძილო-
 ბამ, უბინადრობამ, უსმელ-უჭმელად დიდ-ხნობით ეო-
 ფნამ დიდათ დამტანჯა, დამაძონავა, დამაგლახავა!..


ფრთხილად იუავით, არავის ენდოთ, აღარ გაე-
 ბათ ჩემებრ ძახეში. ვინც ტკბილად გეტყვით, მოგი-
 ალერსებთ და კავიდიმებთ, იცოდეთ იგი მტერია,
 მტერი... ნამდვილი მტერი! ის მაცდურ ბადეს ფეხ-
 ქვეშ დაგიკებთ, მურს თქვენი კარგი მდგომარეობა,
 ალერსით გეტყვით,—მხად მიძილეთო, მსურსო მე
 თქვენი მოუვარეობა! მაგრამ ის ძაძინ კულში იცი-
 ნის, ბადეს ეურს უკდებს... მოელის ოდეს შიგ გაე-
 ბმეუით, რომ მოგამწუვდიოსთ და ამ ნაირად გამარ-
 ჯეპებული ის მუსრს მოგავლეთ, ბოლოს მოგიღებთ!..

თუ ნასოთ კაცი ადამიანი, შორს გაექცეობ, ნუ
ღარ ენდობით! ძაღლსა ჯღრენილს, ძეინაჯას ახლოს
ნუღარ გაუვლით! კატა თუ ნასოთ, ცხრა მთას იქით
გადაიკარგეთ! ის წეუელია, მოგატყუილებთ და მუსრს
მოგაველებთ! სვაჯი თუ ნასოთ, ჩირგვი იწვეთ ქურ-
დულად ძაღვა! ძერას, მიძინოს და მხსავან ევაჟსა
ახლოს ნურას დროს გაეკარებით!

ვინ დაგრჩენიათ? მსოლოდ-ღა ერთი ნაზი ბუნე-
ბა! თქვენ მას მიძარეთ, იგია თქვენი თვით შეგო-
ბარი და თვით გამზრდელი, თქვენი მშობელი, მსა-
ზრდოებელი! ბორცვს, კოდს და ბუჩქნარს მიესალა-
ძეთ! ვარდის კოკორსე დაჯკურებულსა ცვრებს დაეწა-
ფეთ! დილის რაქრაქსე მქროლაჲ ნიავსა ფრთა მიუ-
შვირეთ, მკერდი უჩვენეთ, ღრმად შეისუნთქეთ! მსეს
დიდებულად ამომავალსა და მის ნაზ სსივებს, სი-
ცოცხლის ძეგებს უსტვენ-უძღვრეთ!

მე-კი ტანჯულმა იქნებ სულ ძაღუ ვინილო თქვე-
ნი ნაზი თვალები. გულით ვეცდები ძაღუ მოვიდე,
ამ სასაფხულოთ ისევ გესტუმროთ და მაძინ... მაძინ
კვლად დავსტკებები, კვლავ ვინეჯარებ თქვენთან ეო-
ფნითა. გულში ჩავიკრავთ, ჩემო გვრიტებო და სი-
ნარულის ცრემლებს უხვად... უხვად დავაფრქევუ!

ლადო გეგეჭკორი.



ნადირობა სწილოებზე.



რთი გამოჩენილი მოგზაური აფრიკაში გვიამბობს შემდეგ შემთხვევას სწილოებზე ნადირობის დროს.

„როდესაც მე მოვშორდი ჩემ მოგზაურებს დავინახე დედას ბოლოში ასე ექვსას ნაბიჯზე დედა-სწილო თავის ჰატარა შვილით. დედა-სწილო განურებულიყო ერთ ადგილას და აფართოხუნებდა თავის დიდრონ ეურებს, მისი შვილი კი ტალახში გორაობდა. დურბინდით ვიუურებოდი და დავინახე, როგორ სოკი ერთი ჩემი მოგზაურები გაეშურენ სწილოსაკენ. მე მაშინვე ავედი გორაკზე, რომ იქიდან შეცქერა ნადირობისთვის. ჰირუტევი არ მოელოდა მტერს და მუშუს აწოვედა თავის არი წლის შვილს.

მერე ორივემ გასწიეს და ერთ ქვიშაზე სხედნ და წვიან, იქ ლამში დაიწვეს გორაობა. შვილი ცუელქობდა, ეურებს აფართოხუნებდა, სორთუმს აქანებდა, დედაც თავის მხრით კუდს და ეურებს კმაყოფილებით ათამაშებდა. უცბათ მოისმა მტრის სტევენა, სოკს საუვირე ეჭირა



ხელში, ზოგი ხელებით ტაძარს სცემდა, რომ ზღაპრული
 ეპოქის უზრუნველყოფა მიეცა.

სწილოებმა ურები აცქვიტეს, იუცხოეს უცნაური
 სმაურობა და ამოვიდეს ხევიდან, მაშინვე მონადირეები
 მივარდენ მათ. ზატარა სწილო ჯერ წინ გავარდა, მა-
 გრამ, დაინახა თუ არა ღელეს ბოლოს მონადირეები,
 დაბრუნდა დედისთან. დედა მოეფარა შვილს, რომ ის
 გადაერჩინა უბედურებისაგან და თან ზურგზე უსვამდა
 თავის სორთუმი დასამშვიდებლათ. მერე დაიწყო უკან-
 უკან დაწევა და თან შვილს ფარავდა მტრისაგან. ამ
 დროს მიუხედავად წყალზე გადასვლა. სანამ ის წყალს
 გადადიოდა და მეორე ნაპირას აღმართზე აღიოდა მო-
 ნადირეები დაეწიეს და ბლომათ ისრები ესროლეს. და-
 კოდილი, სისხლში გასურული სწილო გაიქცა, თით-
 ქოს დაავიწედა თავისი შვილი. მე მაშინვე შეუთვალე
 მონადირეებს, რომ ზატარა სწილოს არა დაუშავონ
 რა. საბრალლო ზატარა სწილო გარბოდა რაც ძალი
 და დონე ჰქონდა. ჩემმა გავზავნილმა კაცმა დაიგვი-
 ანა, ახალგაზრდა სწილო წყალში მიიძალა, მაგრამ
 იქ მოასწორეს მონადირეებმა და მოჰკლეს. მისმა დე-
 და-სწილომ უკლო სირბილს, მობრუნდა, ნახა თავისი
 უბედურება და უვირილით, ამჟოთებული და განრის-
 ხებული მივარდა მონადირეებს, რომელნიც ერთ წამს
 გაიფანტენ აქეთ-იქით. სწილო მიდიოდა ზირდაპირ
 მტერზე და სწორეთ იმ მონადირესაკენ გაეშურა, რომ
 მელსაც ღია ფერის წამოსახსნაძი ესურა. წითელ-უვი-



თელი ფერი უოკელთვის სანძიას ამ შემთხვევაში, მისთვის
 სწილომ ველარა აზნორა. ის ისე დაკოდელი იყო ხან-
 როლი ისრებით, რომ სისხლით დაიჯღაბა.

მე იმათ ნადირობას ველარ მივაქციე უურბდლებს: —
 რადგან ძალიან შეწუსებული ვიყავ მე მტანჯავდა ის
 აზრი, რომ ამისთანა სასარგებლო ჰირუტეებს ვანა-
 დგურებთ და აღარც თვალში მომდიოდა, რომ მივიღებ
 საჩუქრათ ძვირფას სადაუს, რომელსაც მოაცლიან მო-
 კლულ დედა-სწილოს.

ტასო.





გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

პატარა ციკციკელას
მთიდან თივა ჩამოჰქონდა.

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილის მიერ)

შავი არსება შავქულა
შავ ტყავი, ნაბადიანი,
ღლისით დასავლეთს გაჰყურებს
დღე რომ დადგება მზიანი.
შუადღის ეამსა ჩრდილოეთს,
სალამოს აღმოსავლეთსო,
მზე რაკი ჩავა ჩაქრება,
ველარას ვხედავთ ასეთსო.
ადვილია, გამოიცნობთ
თუ დაფიქრდებით მარჯვეთო.

ჩქარა გამოსათქმელი.



ხელის ხერხით ხეს ვხერხავდი
თანაც ხელი ხეს მეკიდაო.

რ ე ბ უ ს ი





ამ ცხრა უჯრაში ჩაწყობილია ცხრა კაპეიკი-^{ერთმეორეული}
და მიუმატოთ სამი კაპეიკი, ხოლო ისე, რომ სიგძლივ და სი-^{მუდმივი}
განით იყოს ოთხ-ოთხი კაპეიკი.



პიჯის № 4.

გამოცანები: ფუტკრები, ცა, ცხვარი.

სახუმარო კითხვები: 1) სავარცხლის კბილები, 2) ყა-
ვარჯენი, 3) ზარი, 4) ის ერთი ჩიტი, რომელიც მოჰკლეს.



გ ა ს ა ფ ხ უ ლ ი .



აგვიზაფხულდა... ველ-მინდვრათ
 აპყვავდენ ვარდნი, იანი;
 თავს დაჰქათქათებს მალლით ცა
 ბრწყინვალე, ნათელ-მზიანი!
 მთის წყარომ მღერა დაიწყო
 უმატა ჩუხჩუხ-ჩხრიალსა;
 კორღზე დაეშვა—თვალს ვერ ვწყვეტ,
 სხივზე მის ლაპლაპ-პრიალსა!
 ჯიხვნი, ირენნი ამაყათ
 გადმოდგენ მალღობ სერზედა;
 სტკებობდენ დედა ბუნებით,
 არრას ფიქრობდენ მტერზედა!
 ამ დროს სადღაც, შორს, წალკოტში
 ბუღბუღმა შეიფთხრიალა;
 და სევდიანის სიმღერით
 მიდამო ააწრიალა!
 ლაყვარდ სივრცეში ხმა წმანდა
 ტორლოის ზართა წკრიალსა,
 ნორჩ, ახლად გაშლილ ხეხილთა
 ფოთლების, ფურჩულ-შრიალსა.
 და მასთან უცხო ფრინველთა
 ტკბილ ზევსურს, ქიკქიკ-სტვენასა,
 ვისმენდი... გული მოეცვა
 სილაღეს, შვება-ლხენასა!

2. ქუჩიშვილი.

დედა-მიწა და კუდიანი ვარსკვლავი.

(კომეტა).

(ზღაპრული ამბავი)



ამბავი, რომელიც მე მინდა თქვენ მოავითხროთ, ფრიად შესანიშნავია და მთელი საუკუნოები გრძელდება. მასხედ მოთხრობებს ძნელათ უპოვნით ბოლოს. სათავი მისი სამყაროს სივრცეშია, იქ სადაც დასკურავენ ყველა ვარსკვლავები, სადაც ისეთი სიცივეა, რომ არავითარი თბილი პეწვეულობა, დახუღ პერანგზედ მეტად არ ათბობს.

ეს ცივი სამყაროს სივრცე მოფენალი მრავალი ვარსკვლავებით, ისეთი დიდი, ზეზარმაზარია, რომ აქამდინ მისი სიდიდის გამოკვლევა არავის არ ძალუძს.

კიდევ რომ აღმოჩნდეს იმისთანა პირი, რომელიც შეიძლება მის გამოანგარიშებას—გამოკვლევას, მას მაინც სხვები ვერ გაუგებენ, ისეთ აუწერელ სიდიდეს წარმოადგენს ჩვენი სამყარო.

ამ სამყაროს სივრცეში ჩვეულებრივ მოგზაურობდა დედა-მიწა, სწორეთ ისე, როგორც წინეთ მრავალ საუკუნეების განმავლობაში და როგორც დღესაც მოგზაურობს. ის მზეს ირგვლივ უტრიალებდა და უტრიალებს. ადამიანს მის ადგილზედ თავბრუ დაესხმოდა, მაგრამ დედამიწას თავბრუ არ ესხმის, ის შეეჩვია ამგვარ ტრიალს და არც ასეთი პატარა წრე აქვს შემოსატრიალებელი—ერთხელ შემოტრიალებას უნდება თითო წელიწადი.

ის როგორც ნამდვილი გიგი, ვარდა იმისა, რომ ზრუნველი გარშემო უტრიალებს, თავის თავის ირგვლივაც ტრიალებს სწორეთ ისე, როგორც პატარა ლეკვი ტრიალებს ხოლმე, როცა უნდა დაიჭიროს თავის კუდის ბოლო.

ამ ტრიალს დედამიწა უნდება ოცდა ოთხი საათი. ასე მოქმედობს იმიტომ, რომ მზემ თანასწორათ გაანათოს ყოველი მისი მხარე, თუ ასე არა, დედამიწა მხოლოდ ერთ მხარეს იქნებოდა განათებული, რომელსაც მზე მიაშუქებდა სხივებს. მეორე მხარე კი მუდამ სიბნელით იქნებოდა მოცული. მაგალითათ, რომ მაიტო აზია, ევროპა და აფრიკა ყოფილიყო მზისაკენ, მაშინ ამერიკას არასოდეს არ ეღირსებოდა სითბო და ვერავინ დაიძრებოდა ქვეშაგებიდან.

კიდევ ბევრი საზრუნველი ჰქონდა დედა-მიწას, მას თვალყური უნდა ედევნებინა რთვარისთვის. მთვარეს საზოგადოთ ბევრი საქმე არ ჰქონდა. მისი საქმე მხოლოდ ის არის, რომ სულ ირგვლივ თავის თავისა იტრიალოს და მასთანავე შემოიბინოს დედამიწის ირგვლივ, სწორეთ ისე, როგორც დედამიწა დასეირნობს მზის ირგვლივ.

მთვარე დედამიწაზედ ბევრათ პატარაა. იმიტომ დედამიწა სხაგრავდა მას და ბრძანებლობდა. არც მთვარე რჩებოდა ვალში, რაც კი შეეძლო, სამაგიეროს უხდიდა, აჯავრებდა.

ამგვარი უსიამოვნო განწყობილობის მიზეზი მათ შორის ის არის, რომ ისინი ერთმანეთთან სულ ახლოს სცხოვრობენ. ხომ მოგეხსენებათ, როცა ორი არსება ერთათ არიან, მათ შორის ხშირათ დავა, კამათი ატყდება ხოლმე.

მთვარე ყოველ თვეში ერთხელ ივსება; სწორეთ ამ დროს ის თავის გაბადრული სახით ძრიელ ამაყობდა და დედამიწას აჯავრებდა. გაბრაზებული დედამიწა კი ამბობდა:— „შებნდეთ ერთი, როგორ ბრწყინავს ეს მუქთახორა შოახლე, საწყალს თავის თავი უძრავ ვარსკვლავათ მიაჩნია!“

ამ დროს მთვარე მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და თავის შეხედულებით უფრო მეტად აჯავრებდა, მაგრამ ამნაირი მდგომარეობა მთვარისა დიდხანს არ გრძელდებოდა; ის თანდათან ილევოდა, სახე უგრძელდებოდა და ემგზავსებო-



და ლოთობის შემდეგ თავ ატყენილ ადამიანს. ^{პატივსაცემად}
სრულიად იმალებოდა, მაგრამ მერე ხელ ახლათ გამოჩნდებო-
და, თანდათან ივსებოდა, სანამ სულ არ დარკვალდებოდა.

— „შენ განა სწორე დადიხარ? ჰკითხა ერთხელ დედა-
მიწამ.

— ჩვეულებრივათ, მიუგო მთვარემ.

— იმედი მაქვს, შენ გზას რიგიანათ ივლი. განაგრძობ
დედა-მიწამ, — არ დაივიწყო, რომ შენ ცამეტჯერ უნდა შემო
იარო ჩემ ირგვლივ იმ დროის განმავლობაში, სანამ მე ერ-
თხელ შემოუვლი მზეს... უამისოთ ხომ ანგარიში აირევა!

— მე დიდი ხანია ასე დავრბივარ და კარგათ ვიცი ჩემი
მოვალეობა. — შე ბებერო ბუზღუნა ვარსკვლავო მიუგო მთვა-
რემ.

ამ დროს ის სწორეთ სავსე იყო და რაც ძალი და ლო-
ნე ჰქონდა, ყვიროდა და ღრიალვებდა

მთვარემ სხვანაირათაც იცოდა დედამიწის გაჯავრება.
ხანდახან ის, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გადაზიდავდა
ზღვიდან წყალს დედა-მიწის ერთ მხრისაკენ, ასე რომ იმ მხარეს
მდინარეების წყალი სულ წალეკავდა არე-მარეს. მეორე მხრით
კი ზღვები შრებოდა და მიმავალი ხომალდები ჩერდებოდნენ.

ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცემოდა და გაიძახოდა:
— „სწორეთ აღარა ღირს აქ დედა-მიწაზედ ცხოვრებაო“.

ამ შემთხვევაში დედამიწა ბრაზობდა; მაგრამ რას გაა-
წყობდა.

— შენ ისევ გასუქდი შე ღორო, შენა! ეტყოდა ხოლმე
დედა-მიწა. — ნეტავი ვიცოდე, ვისა აქვს შენგან სარგებლობა?

ამნაირად ჩხუბობდნენ წლიდან-წლამდინ მთელი საუკუ-
ნოები ეს ორი გაუყრელი მეზობლები და ჩვეულებრივ მოგ-
ზაურობდნენ როგორც ბუნებისაკან დანიშნულება მოითხოვდა.
მათ გარშემო ტრიალებდნენ სხვა ურიცხვი ვარსკვლავები თა-
ვის კირ-ვარამით, შუაგულში კი იღვა დიდებულნი მზე და ყო-
ველივეს თავის ბრწყინვალებას უძღვნიდა.

მარტის შუა რიცხვები იყო, ამ მხარეში გამოჩნდა სრუ-
ლიად აქამდის ყველასთვის უცნობი ვარსკვლავი. დედა-მიწას-



და მთვარეს ამის მსგავსი ჯერ არა ენახათ რა და ძრიელმა მსგავსი კვირვებულნი შესცქეროდნ მას.

უცხო ვარსკვლავი სულ სხვანაირი იყო. ის არაფრით არ ჰგავდა სხვა ამათ ნაცნობებს, მას ჰქონდა გრძელი ბრწყინვალე კუდი.



— „რა საოცარი არ სებაა“!!—დაიძახა დედა მიწამ.

— „მე ამის მსგავსი არასოდეს არა მინახავს რა. დაუმატა მთვარემ.

ეს ორივენი შიშისგან ელდა ნაცემნი გაირინდნენ, მკვდარს დაემსგავსენ.

უცხო ვარსკვლავი კი თანდათან უახლოვდებოდა მათ. დედა-მიწა დიდს შიშში იყო, ეგონა ვარსკვლავი მას დაეცემოდა.

როცა ვარსკვლავი ისე დაუახლოვდა დედა-მიწას. რომ მასთან შეეძლო დაელოპარაკება, დედა მიწამ დაუყვირა:

„შენ, ეი, შეჩერდი, რა გინდა, რომ ჩემ გზაზე მოდიხარ? ვინა ხარ? საიღ-

გან მოდიხარ? საით მიემგზავრები?

— „შენ ბევრ რასმეს მკითხამ?“ მიუგო უცხომ.

— „მოთხარი, ვინა ხარ შენ“, ეკითხება ხელ-ახლად დედა-მიწა.

— „მე. მე მხოლოდ ერთი პატარა კუდიანი ვარსკვლავი ვარ“. მიუგო ამან, შენ კი ვინა ხარ?

— მე დედა-მიწა ვარ; შენ უთუოთ ბევრ რასმეს გაიგებდი ჩემზე.

— „არასოდეს არა გამიგონიარა“, მიუგო კუდიანმა ვარსკვლავმა. მე სულ უცხო ვარ ამ მშვენიერ მხარეში, არა-



სოდეს აქ არ ვყოფილვარ და არც ერთ ვარსკვლავში ვერ ვხედავდი.
ცნობ.

— „ოო! რადგან აგრეა, შენ ნამდვილ შესანიშნავ ადგილას გაჩენილხარ“, მიუგო ამაყად დედა-მიწამ, მართალია მე არ მიყვარს ტრაბახობა, მაგრამ შემიძლია თამამად ვითხრა, რომ მე ყველა ჩვენნიანებში ყველაზე შესანიშნავი ვარ.

— „მე სწორეთ ბედზე გავჩენილვარ აქ“, გაიფიქრა კუდიანმა ვარსკვლავმა — აბა, ჩქარა მიახმე აქაურობაზე ყველაფერი, დრო არ მაქვს, რომ აქ დიდ ხანს გავჩერდე

— „ჩვენც საკმაოდ ჩქარა დავრბივართ, მეგობოების კილოთი მიუგო დედა-მიწამ, — მე მინდა ერთი წინადადება მოგცე: ვამოისიერნე ჩემთან ერთად მზის გარეშემო, ეს სეირნობა გაგრძელდება სულ ერთი წელიწადი, მეტი არა და ჩვენ შეგვიძლია დაწყნარებით ვისაუბროთ ერთად

— ე! ე! დაცინვით მიუგო კუდიანმა ვარსკვლავმა. ამას შენ ცოტა ხანს ეძახი? მე სულ სხვა აზრისა ვარ დროზე აბა დაუჩქარე და მიახმე, ვის შევხვდები ამ მხარეში“.

— „ჯერ სიტყვა მომეცი, რომ ქუთით იქნები და არ დამეცემი თავზე“.

ამ სიტყვების გაგონებაზე კუდიანმა ვარსკვლავმა ისე გულთანად გაღიხარხარა, რომ მისი მშვენიერი ბრწყინვალე კუდი სამათ გაიყო.

— „ო! ო! როგორც გეტყობა, შენ გეშინია ჩემი, გეშინია, რომ მე არ გაგსრისო?! დამშვიდდი ჩემო კარგო, მე ისეთი მსუბუქი და ჰაეროვანი ვარ, რომ კდეც მოხდეს აგრო და შენ ხელა ვეებერთელა მდევს გზაზე შევეჩხხო. მაშინ მე თვითონ დავიმსხვრევი ათას ნაწილათ, შენ კი უვნებლად დარჩები“.

— „აბა, შენ მხოლოდ უბრალო ცეცხლი ყოფილხარ, როგორც ერთ დროს მე ვიყავი, მიუგო დედამიწამ.

— „მას შემდეგ უთუოდ დიდი ხანია გასული. რამდენადაც მე აქედან გხედავ, პოლიუსზედ შენ ყინულის ქუდი გხურაფს.

— რაც მართალია — მართალია, ორივე პოლიუსზე მაქვს

თითო ყინულის ქუდი, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან უყოთ მერმე, რომ თავი და ფეხები სიცხეში მქონდათ. ოღონდ კი კუქში საკმაოდ თბილოდეს.

— აგრე, მაგრამ სად არის ცეცხლი? დაგიტხა კუდიანი ვარსკვლავი

— „ცეცხლს მე ვატარებ ჩემში, ახლავე გიჩვენებ“!

ამ დროს დედა-მიწამ ამოხეთქა ორი თავის უდიდესი ვულკანებიდან ცეცხლი, ირგვლივ უთვალავი ნაპერწკლები გაიფანტენ.

— „ვხედავ, ვხედავ, რომ მართლა ცოტა რამ ცეცხლი გქონია შენ“.

— ცოტა?! შეურაცხყოფით დაუყვირა დედა-მიწამ, მე გუბნები. რომ შთელი ჩემი მუცელი სავსეა ცეცხლით! ამითი მე ძრიელ ყურადღების ღირსი ვარ, ხედავ! გესმის შენ, მეც ოდესმე შენსავით ცარიელი ჰაეროვანი ვაჟკაცი ვიყავი, მაგრამ მე ჩემი თავი ჩავიჭირე ხელში და თანდათან გავსქელდი, სანამ გარს არ შემომმეკრა სქელი ზურგი, ახლა მე შემოძლია მხოლოდ ჩემი ცეცხლი ამოვხეთქე ცეცხლის მფრქვევი მთებიდან. ასე, რომ ცეცხლი ჩემს გულში ბლომით არის.

— „შენი სქელი ზურგი უთუოთ გაწუხებს შენ? ჰკითხა კუდიანმა ვარსკვლავმა.

— „მართალია, მაგრამ მე შევეჩვიე მას, ეხლა მასზე ცხოვრობს ხალხი.

— „ხალხი? ვინ არის ხალხი“? ჰკითხა კუდიანმა ვარსკვლავმა.

დედა-მიწამ დაფიქრებით მოიფხანა თავი ჩრდილოეთის პოლიუსზე. ჩამოიწია თავისი ყინულის ქუდი, ამ დროს მას მოსწყდა რამდენიმე ვეებერთელა ყინულის ნაკვეთები და ჩაეშვა ზღვაში.

— ხალხი? ეს მუქთა-ხორების მსგავსი არსებანი არიან.

— ფუი მათ! დაიყვირა კუდიანმა ვარსკვლავმა

ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ დედა მიწამ უთხრა:

— იცი, ისინი ჩემს ზურგზე ისე დაცოკავენ, რომ მე მგონია ეს არის ეხლავ გავგიჟდები, რაც დრო გადის, მათი რიცხვი მატულობს და მე უფრო და უფრო ცუდ დღეში



ვეარდები. ისინი მე ყოველის მხრით მსინჯავენ, მსინჯავენ და მსინჯავენ. ეძებენ ჩემში ქვა ნახშირს, ლითონებს და ათასნაირ სხვა საჭირო მასალებს თავიანთთვის გამოსაყენს ჩემს ზურგზედ აწყობენ რკინის ლიანდაგებს და ორთქლის საშუალობით არხებიან და დასეირნობენ საითაც კი გული უწევთ. ჩემს მაღალ მთებში სთხრიან გვირაბებს, ჩემს ღრმა და განიერ წყლებზე აგებენ ხიდებს... და თავის თავს დედა მიწის მეფეთა სთვნიან.

— ჩემი აზრით ძრიელ სათაყილო არის ვარსკვლავისათვის, მავნაირი უსიამოვნო არსებათაგან დამორჩილება. განა შენ არ შეგიძლია ერთი ღონივრად შეინძრე და მოიშორო თავიდან ყველანი? უთხრა კუდიანმა ვარსკვლავმა.

— მე რამდენჯერმე ვსცადე სხვა და სხვა საშუალებით მომეშორებინა თავიდან ისინი. ცეცხლის მფრქვეველი მთებიდან ამოვყარე აუარებელი ცეცხლი, გახურებული ქვები და აღუღებელი ტალახი. დავმარხე მათ ქვეშ მთელი ქალაქები; არა ერთხელ დამიხრჩვია საშინელი ქარიშხალით აუარებელი ხალხი, როდესაც ესეც არა მშველის, მე ვახდენ მიწის ძვრას და მრავალს ვღუპავ.

— „ნუთუ მართლა არაფერი გშველის!“

— ცოტა ხნით კი, მაგრამ დიდხანს კი არა. მე მგონია ისინი მეტად გამრავლდენ, ამაზე აღრე უნდა მეფიქრნა, სანამ ესენი ასე გამრავლდებოდენ და ასეთი ხერხიანები შეიქნებოდენ. ახლა კი არა გამოდის რა; როგორც მე იმათ ან ვახრობ წყალში, ან ვმარხავ ცეცხლსა და ფერფლს ქვეშ ათი-ათასობით და მგონია, რომ ეს არის გაწყდებიან დარჩენილი ოჯახების წევრები შიმშილით, ან სიცივით. ამავე დროს სხვები აგროვებენ აქა-იქ დაზარალებულთათვის ფულს, ან უგეშებენ მათ, შველიან ყველაფრით და რამოდენიმე წლის შემდეგ მე ისევ ისე ვივსები ხალხით.

— მე ამის მსგავსი აქამდის არაფერი გამიგონია! მიკვირს როგორ ითმენ ამდენს? უთხრა კუდიანმა ვარსკვლავმა.

(შეშდგა იქნება)

რ ა ი ნ დ ი .



(დასასრული)

ეორე დღეს ბერო, ანუ რაინდი, ლომებთან გადაასახლეს. იმას თავისი გალიის მიტოვება არ უნდოდა, მაგრამ ცემით და გახურებული რკინების დარტყმით გამოათრის.

ლომები დაუპატიებელ სტუმარს—დათვს, მარჯვეთ დაუხვდნენ. საშინელი ბრძოლა ატყდა, მხეცები ერთმანერთს მისცივიდნენ. ვერც შოლტმა, ვერც გახურებულმა რკინებმა და წყალმა ვერ დაამშვიდა. სამხეცოში ყველა მხეცები აღრი-
აღდნენ, სპილო ფეხებს აბრახუნებდა, ვეფხვი ღრიალებდა და მაიმუნები წრიბინებდნენ.

რადგან ლომები ჯერ კიდევ პატარები იყვნენ, დაივმა დასძლია, ორი კარგი სილის შემდეგ ლომები თავთავიანთ კუთხეში მიიკუნტნენ. დათვი კი შუა გალიაში იჯდა. როგორც ნამდვილი გამარჯვებული რაინდი.

ზინეტას დათვი ძალიან ებრალებოდა.

მხეცები თანდათან დამშვიდდნენ. ერთმანერთს შეეჩვივნენ.

როგორც კი ზინეტა გალიაში შევიდოდა—დათვი უკანა ფეხებზე წამოდგებოდა და კისერზე მოეხვევოდა, ხელებსა და პირის სახეს ულოკდა და ლომებს გაბრაზებული უღმუოდა.

ლომებმაც ზინეტას მოფერება მოინდომეს, მაგრამ, როგორც ნაბრძანები ჰქონდა, ამათ აღერსის მაგივრად შოლტით ცემას დაუწყობდა, ლომებმა აღერსს თავი დაანებეს და ზინეტას კბენას ღაჟობდნენ. ლომებს აჩვევდნენ რგოლებში, სკამებზე და ცეცხლზე გადაბტომას. ყველაზე ძნელი და საშიში



იყო, როდესაც დათვი შუა გალიაში, კიბეზე დედაცხენის
ზინეტა ზურგზე შეაჯდებოდა და ორი ლომი გვერდში სჯდებოდა.
მებზე უნდა მსხდარიყვნენ. ლომებს სკამზე ჯდომა არ უნდო-
დათ, ღმუოდნენ, სკამებიდამ ხტებოდნენ და რამდენჯერმე კი-
ნალამ ზინეტას უკბინეს. ამ დროს დათვი ზინეტას და ლომებს
თვალს ადევნებდა და ძალიან ლელავდა.

მაკს ლინდორტი ამგვარ ვარჯიშობით ძალიან კმაყოფი-
ლი იყო და საიშოვნებით ხელებს ისრესდა ხოლმე.

ორმა წელიწადმა გაიარა. *
სამხეცე სხვა ქალაქში გადა-
სახლდა. ზინეტა თოთხმეტი წლისა შესრულდა. ლომები და
დათვი დაიზარდნენ.

ზინეტას ახლა თავისი საქმე და მოვალეობა კარგად ჰქონდა
შეისწავლილი, რამდენჯერმე დღიურ წარმოდგენაზედაც მონაწი-
ლეობას იღებდა და ტაშის ცემით აჯილდოვებდნენ. მაკს ლინ-
დორტი ზინეტას თვეში ოთხი მანეთი ჯამაგორი დაუნიშნა. ის
ეხლა უფრო თავისუფალი იყო, ყველანი პატივისცემით ეპყრო-
ბოდნენ. თუმცა ბავშვობითვე ზინეტა სამხეცეს იყო შეჩვეული,
მაგრამ აქაური ცხოვრება და აქ მოსამხატვრე პირები არ მოს-
წონდა. ამ ორ წელიწადს წერა-კითხვა შეისწავლა. ამ წიგნე-
ბილამ იმან გაიცნო სხვები როგორ ცხოვრობდნენ და უნდო-
და აქაურობას მოშორებოდა და სხვაგან წასულიყო. ხშირად
თავისი მამა აგონდებოდა და ფიქრობდა, რომ სამხეცოში რომ
არ ყოფილიყო, ჯერ კიდევ ცოცხალი იქნებოდა. დედაც ღარ-
ღით არ მოკვდებოდა.

ლომები დღით-დღე უფრო ბრახდებოდნენ. ერთხელ
იმათ რგოლში გახტომა არ უნდოდათ, ზინეტამ შოლტი მოუ-
ღერა, მათ ხელიდამ გამოჰგლიჯეს და ნაკუნ-ნაკუნათ აქციეს
რანინდი ორივეს ხომ ვერ მოიგერებს და ვერ მოერევა!

მეორე დღეს სალამოს პირველი წარმოდგენაა დანიშ-
ნული. იქნება ლომებს ელექტრონის სინათლისა შეეშინდესთ
და თავთავიანთ კუთხეში მიიმალონ.

რაც იქნება — იქნება, ზინეტა თავის ძალ-ღონეს და გამოცდი-
ლებას არ დაზოგავს, რომ თავისი მოვალეობა შეასრულოს.



მთელ ქალაქში განცხადებებია გაკრული, სადაც სწორედ მონაწილეობას მიიღებს განთქმული ახალგაზრდა ამერიკელი მხეცების მომთვინიერებელი ზინეტა ედვარდს ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ატლასის მთებში დათვი ახალგაზრდა ქალს ორი ლომისაგან იხსნის.

ზინეტას ყველაზე უფრო ეს ნომერი ეჯავრებოდა. ზინეტა დათვს უნდა მოხვეოდა და გალიის კარებამდინ უნდა მოსულიყვნენ. დათვი წინა შათებით ლომებს იგერებდა.

ზინეტამ ტანთ ჩაიცვა და სასეირნოთ გამოვიდა. იქ ერთ სკამზე ჩამოჯდა, რომლის უკან ბოძზე თურმე წარმოდგენის განცხადება იყო გაკრული.

ორი გიმნაზიის მოწაფე, ერთი 13 წლისა და მეორე 14 წლისა შედგნენ და განცხადების კითხვა დაიწყეს

„მონაწილეობას იღებს განთქმული ამერიკელი ახალგაზრდა მხეცების მომთვინიერებელი... ეს სულ სისულელეა, შენ გინდა, პეტო, ამის ნახვა.

— ძალიან მინდა, სთქვა მან.

— ეჰ, ნეტაი შენ, გჯერა. ხალხს ატყუებენ, რომ ჯიბეები გაიმსონ, იძახდა ვასო.

— სწორე გითხრა, ძალიან საყურადღებოა დათვი როგორ იხსნის ატლასის მთებში ქალს ლომებისაგან.

— ის ქალი უთუოდ ვინმე საძაგელი და შეჭთხვევის მძიებელი უნდა იყოს!

ზინეტას ყველაფერი ესმოდა.

— ღმერთო ჩემო, რა ჩემი ბრალია, რომ მე მონაწილეობას ვიღებ ამ წარმოდგენაში, — ფიქრობდა ის.

— განა შენ გესიამოვნება, რომ ვინიციობაა მხეცებმა ის საცოდავი ქალი გაჭლიჯონ? იძახდა ვასო, სწორე გითხრა მე მაგისტანა შემადრწუნებელი სურათების დანახვა ძალიან შეჯავრება.

ბავშვებმა კიდევ ბევრი ილაპარაკეს, ზინეტამ ველარ მოითმინა—გული ამოუჯდა და თვალ-ცრემლიანი ბავშვებს გამოელაპარაკა.



— თქვენ რა იცით, რომ მე საძაგელი ვარ? ^{მე ვარ საძაგელი}
 ფას რაით მაყენებთ?

ბავშვები შეკრთნენ.

— ჩვენ თქვენი წყენა ფიქრათაც არ მოგვსვლია. სთქვა
 ვასომ. — ჩვენ დღევანდელ ცირკის წარმოდგენაზე ვლაპარაკობთ.

— თქვენ მე დამასახელეთ, შემთხვევის მაძიებელი დამარ-
 ქვით, რა დაგიშავეთ, თქვენ გგონიათ ჩემთვის ადვილი და
 სასიამოვნო ხელობაა?

— ვინა ბრძანდებით? შეწუხებული ჰკითხავდა ვასო, პე-
 ტო კი გაჩუმებული იყო.

— მე? მე ზინეტა ეღვარდსი ვარ... დღეს მე უნდა შე-
 ვიკავო ლომები.. როგორ არა გრცხვენიათ...

— ჩვენ არ ვიცოდით, სთქვა პეტომ.

— მაგრე რაით ფიქრობთ ჩემზე, სთქვა ნაპტირალევმა ზი-
 ნეტამ. — განა ყველანი, ვინც ცირკში თამაშობენ საძაგლები
 არიან?

ბავშვები ეხლა უარესათ დაიბნენ

— გავიქცეთ აქედამ, ჩაუჩუოჩულა პეტომ ვასოს.

— არა, ჩვენი შეცდომა უნდა გავასწოროთ, სთქვა ვა-
 სომ, სკამს მოუახლოვდა და ზინეტას გვერდით ჩამოჯდა.

— დამშვიდდით, ნუ გგონიათ, რომ ჩვენ ცუდი და უგუ-
 ლო ბავშვები ვიყოთ და ვისმეს წყენა გვიამებოდეს. — მე მარ-
 ტო მინდოდა პეტო დამერწმუნებინა, რომ არ ღირს მხეცების
 მომთვინიერებელი სურათი ნახვა. — მომიტყვეთ, ემუდარებო-
 და ვასო

ამ დროს იმათ ერთი კობტათ ჩაცმული ქალი მოუახ-
 ლოვდა.

— თქვენ აქ რა გინდათ? ეს ვინ არის? და ზინეტაზე
 მიუთითა. ბავშვებმა მორცხვით დედას თავიანთი შეცდომა უამ-
 ბეს. ქალი ზინეტას მოეფერა თავის შვილების მაგივრად ბო-
 ლიში მოიხადა.

— წამოდით ჩემთან, ჩემო პატარა მხეცების მომთვინიერ-



რებელი. ჩაის დაღვევ და ისევ მალე ცირკში დაბრუნდები.

— უთხრა ალერსით ქალმა

— არა, არ შემიძლია, მეშინიან არ დაიგვიანდეს, წაი-
 ბუტბუტი ზინეტამ.

— არ დაგაგვიანდება, ეხლა სამი საათია, თქვენი წარმო-
 დგენა კი ცხრა საათზე იწყება. ჩვენგან რომ ექვს საათზე გა-
 მოხვიდე, სწორედ დროზე მიხვალ ცირკში, არწმუნებდა ქალი.
 ზინეტა დასთანხმდა და გაჰყვა

* * *

ეს ქალი აქაური მდიდარი ვაჭრის მურავლინის ცოლი
 იყო, პეტო და ვასო კი იმისი შვილები.

ამდენი წლის წანწალში ზინეტა პირველად ამნაირ კე-
 თილ და პატიოსან ხალხს შეხვდა. იმათა ალერსმა ენა აწო-
 დგმევინა ზინეტამ თავისი ამბავი და თავგარდასავალი დაწერი-
 ლებით უამბო.

— მე სრულებით მარტოკა ვარ, პატრონი არავინა მყავს,
 ჩამაჩემი ლომმა დაჰგლიჯა და მოკვდა, დედამაც დიდხანს ვერ
 იცოცხლა. — ჩემი მზრუნველი ამ სამხეცოს პატრონია და აბა
 რას გავაწყობ.

— მოითმინე, ჩემო პატარავ, აიმედებდა ქალი, იქნება
 გარემოება შეიცვალოს და შენი ბედი სხვანაირად დატრიალ-
 დეს.

— ლომებისა არ გეშინიან, ჰკითხა მორცხვად ვასომ.

— როგორ არ მეშინიან, მამა ჩემი ხოც იმათ მოჰკლეს...
 იცით რა უნდა ვთხოვოთ, მიმართა ზინეტამ მურავლინის ცოლს.
 — მობრძანდით ამალამდელ წარმოდგენაზე. თქვენი იქ ყოფნა
 უფრო გამამხნევებს. რაც ჩემი საწყალი დედ-მამა დაიხოცნენ,
 ასეთი ალერსით არავინ მომპყრობია... დღეს მე საღამოთი
 პირველად გამოვდივარ. ელექტრონის სინათლეზე. მხეცები
 უთუოდ უფრო მოუსვენრად იქნებიან. გემუდარებით, უთუოდ
 მობრძანდით.

— კარგი, ჩემო პატარავ, უთუოდ მოვალთ, უთხრა ალერ-
 სით ქალმა. — ეხლა შენი წასვლის დროა.



* * *

ბლაგანი ხალხით საესე იყო. მურავლინის იყვანისას ველ რიგში ისხდნენ. მუსიკა რაღაც მარშს უკრავდა. მხეცები მოუსვენრად თავიანთ გალიებში დარბოდნენ, მეტადრე ვეფხვი, რომლის თვალეებში საშინელი სიბრაზე გამოიხატებოდა, უთუოდ ის გუნებაში ფიქრობდა: ეს დაწყველილი გალიის რკინის კედლები რომ არ შიშლიდნენ, ვუჩვენებდი ამ ხალხს, თუ როგორ უნდა ჩემი დამწყვედეა.

ლომები კბილებს აკრაქუნებდნენ.

— პატარა ბავშვს, როგორ შეუძლია ამისთანა საშინელი მხეცების დამონაფება, იძახდა ხალხი.

— მხეცი ადამიანის ძალასა გრძნობს და ემონება, იძახდნენ მეორენი.

— როდესაც საცოდავს ნაკუნ ნაკუნათ აქცევენ. მაშინ ნახამთ ადამიანის ძალას.

— აქვე, ჩვენ თვალწინ, რომ ეს ბავშვი ვაჰგლიჯონ, რას ვუშველით, შიშით ტანში მატირალეებს, იძახდა ერთი ქალი.

ამ დროს ზინეტა ტანთ იცვამდა. ის ძალიან ღელავდა. მაკს ლინდორტი შევიდა მასთან და ბავშვის შიშისაგან გაფითრებული სახე რომ დაინახა უთხრა:

— არა ვიშავსრა, ყველანი პირველ გამოსვლაზე ეგრე ღელავენ, კარგად დაიმახსოვრე, ზინეტა, ეცადე, რომ მხეცებს შენი აღელვება არ შეამჩნეინო და მაშინ შიშს იკრძობენ. აჰა, დალიე.

და მან ერთი კიკა ღვინო მიაწოდა.

ზინეტამ უცბათ გადაჰკრა. თავბრუ დაეხვია, მაგრამ შემდეგ კი დაწყნარდა.

ზინეტას თეთრი მოკლე კაბა ეცვა, გულზე ბრქუვიალა მძივები ჰქონდა ჩამოკიდებული, თავზე მწვანე გვირგვინი და ფეხებზე სანდალები, ხუტუჭი თმა მხრებზე გადაშლილი ჰქონდა, ვალიასთან რევოლვერით და რკინის ჯოხებით შეიარაღებული ორი დარაჯი იდგა. მუსიკამ მხიარული მარში დაუკრა.

— გამოდი, ზინეტა, უთხრა მაკსმა და ხელში შოლტი მისცა. ზინეტას ელექტრონის მზის შუქი მიანათეს. გულზე

მძივები უბრკვევინავდნენ. ხალხში ტაშის ცემა, ხმაურობა ასევე აღსანიშნავი იყო. ზინეტა კობახიძე მიესალმა საზოგადოებას, გალიასში მისი მხარე დაეჭვებდა და შევიდა.

გალიის კარები უცებ მოიკეტა

დასო და პეტო ჰანკალეზდნენ და თავიანთ შემთხვევით გაცნობილ ქალს, რომელიც გალიაში ამ საშინელ მხეცებთან იყო, უყურებდნენ.

ლომები ბლაოდნენ და კბალებს აკრაკუნებდნენ. ზინეტამ შოლტი გადაჰკრა და ისინი გალიის კუთხეში მიიმალნენ. დათვი ყალყზე ზინეტასთან იდგა, ის თავის მრისხანე თვალბით ხან ერთს მხეცს და ხან მეორეს გადახედავდა.

ლომები ელექტრონის სინათლეზე თვალებს ჰუტავდნენ და ზინეტაზე მივარდნას ცდილობდნენ. დათვი კი წინა ფეხებით იგერებდა.

— ვაშა, ვაშა! რაინდო, ყვიროდა ხალხი.

— გთხოვთ, ბატონებო, გაჩუმდეთ. როდესაც მხეცების მომთვინიერებელი გალიაშია ხმაურობა მხეცებს უფრო გააბრაზებს, სოქვა მაკს ღინდორტმა.


— სიჩუმე, მოსმა წინა რიგიდამ.

ზინეტას ქალაქად გადაკრული რგოლი მიაწოდეს. იმან რგოლი მალა ასწია და შოლტი ჰაერში გააწკრილა. ლომი რგოლისკენ გამოექანა, ქალაქი გახია, მაგრამ გადახტომა ვერ მოახერხა და ისევ უცბათ უკან დაბრუნდა. ამ დროს მეორე ლომი რგოლისკენ მიბრუნდა, დაეტაკა რაღასაც, უსწორმასწორათ შეხტა და უკანა ფეხებით ზინეტას შეეხო.

ზინეტამ საშინლათ დაიკიფლა და დაეცა.

ყველა შიშის ზარმა მოიკვა. საშინელი ყვირილი ასტყდა, ლომი გამოტრიალდა და ზინეტას მივარდა. დათვი, რომელიც აქნობამდინ გაუნძრევლივ იდგა, ლომებს დაეტაკა და ლომები შორს გადისროლა. ხალხი ხედავდა, რომ ზინეტა უგრძობლათ იატაკზე ეგდო და შეუბლიდემ სისხლი გადმოსდიოდა.

მაკს ღინდორტი რევოლვერით და სხვები გახურებული რკინის ჯოხებით გალიას მისცვივდნენ და ზინეტა გამოათრის. ის გულ შეწუხებული იყო. მაყურებლები შესწუხდნენ,



პეტო და ვასო ტიროდნენ, მურავლინის ცოლი ზენეცასთან მივიდა და თან გაჰყვა. რამდენიმე წუთას შემდეგ მურავლინის დორტი გამოვიდა და საზოგადოებას გამოუცხადა, რომ მხეცების დამამშვიდებელი ცოცხალია, ის დათვმა სიკვდილისაგან გადაარჩინა.

ამ დროს გალიაში საშინელი ბრძოლა იყო. ლომები დათვს ეომებოდნენ. ხალხი შიშით კარში გამოცვივდა. მებრძოლთა საშინელი ღრიალი და ღმუილი ყველას თავხარსასცემდა, ვერც გახურებული რკინის კეტები და ვერც წყალი ვერაფერს შველოდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ დათვი ყელგამოჭრილი იატაკზე დაეცა. აქვე ერთი ლომიც მოკვდა. მეორე ისე დაგლეჯილი და ნაცემი იყო, რომ ძლივს კუთხეში მიცოცდა და ქრილობას ილოკავდა.

მაკს ლინდორტი ტიროდა.

— ნეტაი, თუ ის საცოდავი ბავშვი რომ მოეკლათ მხეცებს, ეს ჩვენი ბატონი მაშინაც იტირებდა? სთქვა იოჰანმა. — არა მგონია!

— საწყალი, გმირი, „რაინდი ბერო“ სწორედ რომ გმირულათ მოკვდა, სთქვა ფრედერიკმა.

* * *

გავიდა ერთი წელიწადი. ამ ქალაქში სამხეცე აღარ იყო. მაკს ლინდორტი მაშინათვე აქედამ წავიდა, მაგრამ ზინეტა კი აქ დასტოვა. მურავლინისამ მკვდარი მხეცების ზარალი გადაუხადა და ეს ქალი კი ამ კეოილ და პატიოსან ოჯახში სცხოვრობს, ყველას უყვართ და კარგადაც სწავლობს. ზშირად თავისი საყვარელი მხსნელი და მფარველი „რაინდი ბერო“, აგონდება ხოლმე.

(თარგმანი)

ეკ. მესხისა.




მარკ ტვენის

(1835—1910)



ამუელ კლემენსი, ცნობილი უფრო როგორც მარკ ტვენი, იყო გამოჩენილი ამერიკელი მწერალი. — ბევრს თქვენგანს, მკითხველო, ეს სახელი ეუცხოება, მაგრამ ეს ხომის მწერალია, რომელმაც დასწერა თქვენი საყვარელი წიგნები: „ტახტის მემკვიდრე და მათხოვარა“, „ტომის თავგადასავალი“ „ერთი ძაღლის ისტორია“, რომელსაც აქვე ვბეჭდავთ და სხვა... ეს მხიარული, მომღიმარი მწერალია, რომელსაც უყვარდა ბავშვები, მათი ცელქობა, მათი ცხოვრება.

მარკ ტვენი დაიბადა 1835 წ. ფლორიდაში, მისსურის შტატში, რა არ უნახავს მას თავის სიცოცხლეში! 13 წლისა — ის იყო ერთი გაზეთის რედაქტორად, მერმე რა გაზეთისა? რომლის წლიური ფასი ხელის-მომწერელთ შემოჰქონდათ სხვა და სხვა სანოვაგეთი: ვის წვანილი მოჰქონდა, ვის კომბოსტო, ვის შეშა. 15 წლისა მარკ ტვენი ასოთ-ამწყობათ შევიდა. მაგრამ ეს ხელობა მალე მიატოვა და ზღვაოსნათ წავიდა. ამავე დროს ის სწერდა გაზეთებში, რომ სიმშლით არ მომკვდარიყო. თავის ნაწერებში ხშირად გამოჰყავდა ნაცნობი პირები, უფრო მეგობრები. ოცი წლისა იყო მარკ ტვენი, რომ გამოჩენილ მწერლათ ითვლებოდა. ამავე დროს მარკ ტვენი და მისი ძმა გაემგზავრენ ერთ შორეულ შტატში, სადაც ეს უკანასკნელი მოხელეთ იყო დანიშნული. მარკ ტვენი გაჰყვა მდივანთ, მაგრამ მას არავითარი საქმე არა ჰქონდა და ამიტომაც თავის ამხანაგთან ერთად სამოგზაუროდ წავიდა. ისინი მივიდნენ ერთ




ტბასთან და აქ აიშენეს პატარა ქოხი და იქ დარჩენი კარგად ხანსა
სანამ ცეცხლმა არ გაანადგურა ქოხიც და ირგვლივ ყოველნი
ფერი. რა არ გამოსცადა ამ დროს ახალგაზრდა მარკ ტვენმა!
ვის არ შეხვდა! ამ დროს ამერიკელები გატაცებულნი იყვნენ
ოქროს ძებნით. მარკ ტვენმა იშოვნა ორი ამხანაგი და მათ-
თან ერთად გაემგზავრა ოქროს საძებნელად. იმ სანატრელ
ქვეყანაში მეგობრებმა ვერაფერი ვერ ნახეს და მშვიერ-ტიტ-
ველნი დაბრუნდნენ სახლში.

როგორც ხედავთ, მარკ ტვენის ცხოვრება საესეა მოგზა-
ურობით, სხვა და სხვა თავგადასავლით და ბრძოლით ლუქმა
პურის საშოვნელად. აი რისთვის უყვარს მარკ ტვენს მხნე,
გამრჯე, გაბედულობით სავსე არსება, და ის ყოველთვის და-
სკინის მტირალა, მშიშარა არსებას, რომელთაც მუდამ სხვის
დახმარება ესაჭიროება.

მარკ ტვენის მოთხრობებში ყოველთვის გამოყვანილია
ისეთი ბავშვები—რომელთაც არაფრის არ ეშინიათ, რომელ-
ნიც მეგობრისათვის თავს არ დაზოგავენ და იმავე დროს რა-
მე საოცარ ცელქობას ჩადიან. რო იცოდეთ, რა სიხარულით
და სიყვარულით შესცქერის მარკ ტვენი ასეთ ბავშვებს! თავის
ბავშვობა მარკ ტვენმა ასწერა „ტომის თავგადასავალში“.

თავის ნაწარმოებში მარკ ტვენი უზიარებს მკითხველებს
თავის დაკვირვებას ცხოვრებაზე, უამბობს ყოველთვის ღიმი-
ლით და სიხარულით თავის მოგზაურობის ამბავს, თავის გა-
ქირვებას და ვარაშს. აი, ამისთანა ნიჭიერი მწერალი დაპ-
კარგა კაცობრიობამ.



ერთი ძაღლის ისტორია.

(მარკ ტვენასა).

I.



ოცა მე მოვიზარდე, გამყიდეს და წამიყვანეს. მას აქეთ დედა-ჩემი აღარ მინახავს. ორივეს გული გვისკდება და განშორების დროს, ორივენი ვტიროდით და ვღრიალებდით. ის მანუგეშებდა მე შეძლებისა და გვარად

და მეუბნებოდა, — რომ ჩვენ ვცხოვრობთ დედამიწაზე ხალხის კეთილ დღეობისთვის და უნდა ვასრულებდეთ ჩვენს მოვალეობას; ვცოცხლობდეთ სხვისთვის, და არ უნდა ვფიქრობდეთ ბოლო ჩვენს თავზე. „ისინი, რომელნიც ასე ცხოვრობენ, — მეუბნებოდა დედა, — მოელიან საჩუქარს საიქიოში. ჩვენ ცხოველები ვართ და ვერ შევალთ სამოთხეში, მაგრამ მაინც უნდა ვიცოცხოთ ისე, რომ ჩვენი სიცოცხლე იყოს ღირსი თავის თავად საჩუქრისა.“ ეს ყოველივე დედამ გაიგო მაშინ, როცა დადიოდა ბავშვებთან ერთად საკვირაო სკოლაში და ღრმად ჩაენერგა გულში, თავისა და ჩვენ საკეთილ-დღეოდ.

ცრემლ მორეული შევყურებდით ჩვენ ერთი-ერთმანეთს განშორების დღეს, და როცა მოახლოვდა გამოთხოვების წამი, იმან მითხრა:

— „შვილო, როცა შენს მოყვასს რაიმე უბედურება შემთხვეს, შენ არ იფიქრო შენს თავზე, არაშეღ მოიქეცი ისე, როგორც იქცეოდა დედა-შენი.“ — ამ სიტყვებს მე თავის დღეში არ დავივიწყებ, თავის დღეში!



II

მე წამიყვანეს მშვენიერ სახლში. ამ სახლში რამდენიმე წელიწადი ოჯახი ცხოვრობდა. ოთახის კედლებზე ჩამოკიდული იყო ლამაზი სურათები და სხვა და სხვა მორთულობა. ყველგან სინათლე, სახლის გარშემო დიდი ბაღი იყო გაშენებული, იქაურობას ამშვენებდა პატარა დაცემული კორდები, ხეები და ყვავილები.


მე ვუყვარდი, მათამაშებდენ და ახალი სახელი აღარ დამარქვეს, მიძახდენ მურიას. ეს სახელი მე ძალიან მომწონდა, რადგანაც დედა-ჩემის დარქმეული იყო. ქალბატონი ნადინა იყო დაახლოვებით ოცდა ათის წლისა, კეთილი და სანდომიანი ადამიანი. ნინა, ქალი მისი, იყო ათის წლისა, სახით ძალიან გავდა თავის დედას, ის იყო წამოსადეგი და ძალიან ლამაზი. წაბლის ფერი თმა ყოველთვის წელზე ჰქონდა ჩამოშვებული. მეორე—პატარა ბავშვი კი იყო ხოლო ერთი წლისა. ძალიან მსუქანი, მხიარული ბიჭი, რომელსაც ვუყვარდი მე, და რომელიც მათრევდა კუდით, მეხვეოდა და იცინოდა. ბ-ნი პლატონი, ოცდა თვრამეტის წლისა, ლამაზი, ცოცხალი, გამბრჯე და ნასწავლი ადამიანი გახლდათ, რომელსაც თავზე ის იყო მელოტი ვასჩენოდა.

III

ყველაზე კარგი იყო აგრედ წოდებული „ლაბორატორია“ ლაბორატორია ეს წიგნი არ არის, არც სურათი. ეს არის ოთახი, სადაც სდგას: ქილები, ბოთლები, ელექტრონის მანქანები, მათეულები და სხვა მოწყობილობა.

სუყოველ კვირას პლატონის ამხანაგები, ყველა ჰქვიანი და ნასწავლნი მოდიოდენ ლაბორატორიაში, ატრიალებდენ მანქანებს, და რაღაცეებს აკეთებდენ. მეც დავბოდი იქ, ვუგდებდი ყურს, მინდოდა რამე შემესწავლა, მაგრამ ვერაფერი ვერ გამოვიტანე ამ ნასწავლთა ლაპარაკიდან.

ხშირად ვიწვექ ხოლმე იატაკზე, პატარა, მორთულ დისახლისის ოთახში. ის ნელ-ნელა მადებდა ფეხებს ზურგზე, რადგანაც იცოდა რომ მე ეს მესიამოვნებოდა ხოლმე. ზოგჯერ მივდიოდი საბავშვო ოთახში, სადაც მეთამაშებოდენ და მეფერებოდენ გაუთავებლათ. როცა პატარას ეძინა, მაშინ მე ვუგდებ-




ბდი ყურს მის აკვანს. მოხდებოდა ხოლმე, რომ მე და ნინო ნა დაფობოდით ბაღში, სანამდის არ დავიღლებოდით. შინ ის დაჯდებოდა წიგნის საკითხავად, მე კი ვიძინებდი ბალახზე, ხის ჩრდილ ქვეშ. მოსამსახურეებს გაგიყვებით ვუყვარდი, ისინი კარგათ მექცეოდნენ და მე ჩემი თავი სამოთხეში მიგონა. არ იყო ძაღლი ჩემზე ბედნიერი და მადლიერი. მალე საკუთარი ლეკვიც გამიჩნდა. ეხლა ჩემს სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. რა მშვენიერი ცხოველი იყო ეს ხავერდოვანი, რბილი, პატარა ლეკვი?! ის თავის სუსტ ფეხებზე, ხან იქით გადატრიალდებოდა და ხან აქეთ. სახლის პატრონს და ბავშვებს ძალიან უყვარდათ ეს პატარა ქმნილება და ერთს ხარხარს ასტებდნენ ხოლმე, როცა დაინახავდნენ მას.

IV

ერთხელ ჩვეულებისამებრ ვუდარაჯებდი პატარა ბავშვის აკვანს. დამეძინა. აკვანი იღვა ბუხარსა და ჩემ საწოლ შუა. ეს ამბავი ზამთარში მოხდა. აკვანზე იყო გადაკიდული ლამაზი პირსაფარი. ძიძა გავიდა. ბავშვი და მე მარტოკანი დაფრჩით. უცებ ბუხრიდან გადმოვარდნილი ნაპერწკალი ეცა პირსაფარს და დაწვა. პატარა ხანს სიჩუმე იყო. მერე უცებ მომესმა ბავშვის ყვირილი. მთელი აკვანი ცეცხლში იყო. ცეცხლის აღი ქერამდის აღიოდა. მე კარებისკენ გავიქეცი, მინდოდა კარში გავქეუულიყავი, მაგრამ მომაგონდა დედიჩემის სიტყვები, რომელიც მითხრა გამოთხოვების დროს და მე ისევ უკან მივბრუნდი, შევყავ თავი ცეცხლში, ვტაკე პირი ბავშვს პერანგზე, გადმოვათრიე იატაკზე და იმდენი ვათრიე, სანამდის ჩვენ ბოლის ნისლში არ დავარდით. მე უფრო მაგრად მოვუჭირე კბილები ბავშვს პერანგზე და გარეთ გავიყვანე. პატარა ტიროდა, მე კი ამითი ვამაყობდი.

— წადი იქითკენ, შე დაწყევლილო ძაღლო, — დამიყვირა პატრონმა, რადგანაც ჯერ არ იცოდა საქმე რაში იყო.

მე გავიქეცი, მაგრამ პატრონი მომეწია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დამკრა მათრახი, რომელიც მომხვდა მარცხენა თეძოში. პატრონს კიდევ უნდოდა დაერტყა ჩემთვის ჯოხი,



მაგრამ აქ ხელი შეუშალა საბავშვო ოთახიდან ჩამართვით გამოსულმა ძიძამ.


— არიქა, მიშველეთ, საბავშვო ოთახი იწვის! სახლის პატრონი პლატონი მაშინვე შევარდა ოთახში და მხოლოდ ამის გამო არ დამიმტვრია ყველა ძვლები. ფეხი ძალიან მტკიოდა. უნდა სადმე მივმალულიყავ.

,მაშ რა მექნა, დროს დაკარგვა არ ივარგებდა. პლატონს შეეძლო, რომ სუყოველ წუთს მობრუნებულიყო ხელ-მეორედ საცემლოათ. მე გავიქეცი სამს ფეხზე აივნის ბოლო კუთხეში, საიდანაც წვრილი კიბე აღიოდა ზესხვენზე, მე ვიცოდი რომ ადამიანი იშვიათად თუ ავიდოდა იქ. ძლივ ძლივობით ავედი კიბეზე, ხოხვით მივედი ერთ დაბნელებულ კუთხეში და დავეწეკი. მე კიდევ ვკანკალებდი შიშისგან. საშიში-კი არაფერი არა იყო რა, რადგანაც ვიცოდი, რომ ველარ მომაგნებდნ.

V

თითქმის ნახევარი საათი გაისმოდა ქვევით ყვირილი და ბრახუნი. პატარა ხანს შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. მე დავმშვილდი, მაგრამ ცოტა-ხნით. შიშმა კიდევ ამიტანა. უცებ მომესმა ყვირილი, რომელმაც ტანში გამაყრიალა. მე მიძახდენ, მე მეძებდენ. ხმები თან-და-თან ყრუთ ისმოდა, ეტყობოდა რომ ეხლა უფრო შორიდან მეძახდენ. ყველგან დაიარეს, მაგრამ მე ვერსად ვერ მიპოვნეს. ბოლოს კიდევაც დალამდა და ხმებიც მიწყდა.

გათენდა, კიდევ დაიწყეს ჩემი ძებნა. მე კიდევ ვკანკალებდი და ვფიქრობდი, რომ პატრონი თავის-დღეში არ მაპატივებდა. რა დავაშავე ამისთანა? რად მიწყრებიან უდანაშაულოდ? მე ვერ გამეგო ეს, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ალბათ რამე ცუდი საქმე ჩავიდინე და ამისთვის მიწყრებიან. ისინი მიძახდენ მე დღე და ღამ, მაგრამ მე ვიმალებოდი. წყალი მომწყურდა, მაგრამ გამოჩენა არ მინდოდა. ძალიან დავსუსტიდი და სულ მეძინებოდა. ერთხელ მე გავიღვიძე ძალიან შეშინებული, მითომ მომეჩვენა, რომ მე სულ ახლო მეძახდენ. ჩემი მოჩვენება მართალი გამოდგა.



მე მიძახდა ნინა. იმისი ხმა საშინელი ნაღვლიანი იყო. მე არ მინდოდა ჩემი სმენისთვის დამეჯერებინა, როცა გაგვიძინებდა შემდეგი სიტყვები:

— დაბრუნდი, დაბრუნდი ჩვენთან — იძახდა ის — გვაპატივე, უშენოდ მოწყენილი ვართ.

სიხარულით მივარდი მე პატარა ქალს. ისიც სიხარულით გაიქცა ქვეითკენ.

— ვიბოვნე, ვიბოვნე! ყვიროდა ის.

ახლად დამიდგა ბედნიერი დღეები. ნადიკო, ნინა და ყველა მოსამსახურეები კარგად მექცეოდნენ. არ იცოდნენ, სად დავეწვიინეთ, აგრეთვე არ იცოდნენ რა ექმნათ ჩემთვის.

ისინი ათჯერ მაინც უამბობდნენ ჩემ ამბავს სტუმრებს. მოდიოდნენ აგრეთვე ჩემი პატრონის ამხანაგები, ესე ოცს კაცამდე, ყველა ნასწავლნი. მე მიძახდნენ ლაბორატორიაში. ყველა ჩემზე ლაპარაკობდა, თითქოს ახალი რამ აღმოეჩინათ.

— ეს „აღლო“ არ არის — ამბობდა პატრონი. — ეს ჭკუაა.

პატრონმა გაიცინა. ამხანაგები გაკვირვებით უცქეროდნენ.

— რას მიცქერით აგრე გაკვირვებით, მე არ ვხუმრობ. მე ვიცი, მაგალითად, რომ ჭკუა მაქვს, მაგრამ მეგონა, რომ ეს ძაღლი გაცოფიანებულობდა და ჰკლავდა ბავშვსა. ახლა-კი მე ვხედავ, რომ ძაღლი საშინელი ჭკვიანი ცხოველი ყოფილა, ეს რომ არ ყოფილიყო ჩემი ბავშვი დაილუპებოდა.

ისინი განაგრძნობდნენ ლაპარაკს და ამ ლაპარაკის მიზეზი ვიყავი მე. მერე ისინი სხვა საგანზე გადავიდნენ — აი მაგალითად რაზე:

„დააბრმავებს თუ არა ჩვენს პატარა ლეკვს უკეთესი მის თავიდან ტვინის ამოღებით? ამ საგნის თაობაზე იყო დიდი ხანი კამათი.“

VII

დადგა მშვენიერი მზიანი გაზაფხული. ნადინა და ბავშვები მომეალერსნენ, გამომეთხოვენ და გაემგზავრენ სადღაც შორს ნაცნობებთან. პატრონთან ჩვენ — მე და ჩემს ლეკვს,



მოგვეწყინა. ხშირათ ვთამაშობდით ერთმანერთში და თან ვუცდიდით პატრონის მოსვლას.

მოსამსახურეები კარგათ გვექცეოდენ და ჩვენც კარგათ ვცხოვრობდით.

ერთხელ მოგროვდენ პატრონის ამხანაგები, რომ გაემართლებინათ ის სიტყვა, რის შესახებ წინეთ ჰქონდათ ლაპარაკი.

გამოსაცდელათ ჩემი ლეკვი შეიყვანეს ლაბორატორიაში. მეც ჩემ სამ ფეხზე ვავიქეცი იქ, და ვამაყობდი იმითი, რომ ჩემ ლეკვს ამისთანა ყურადღებას აქცევდენ. ნასწაკლნი ისევ ისე გაცხარებით ლაპარაკობდენ. იმათ ეჭირათ ჩემი ლეკვი ხელში და რაღაც რკინებით სინჯავდენ. პატრონი რაღასაც უხსნიდა ამხანაგებს და ამბობდა: „აი ნახავთ, თუ ჩემი აზრი მართალი არ გამოდგეს“-ო.

მე ჩუმად ყურს ვუგდებდი და ვუსტკებოდი. უცებ ლეკვმა დაიყმულია. ის დაუშვეს იატაკზე, მან დაიწყო ძლივ-ძლივობით ფორთხვა და ხან ცხვირს არტყამდა იატაკზე, ხან პირს. თავი მას მთლად სისხლში ჰქონდა მოსვრილი. პატრონმა სიხარულით დაჰკრა ტაში და დაიძახა:

— გამოტყდით, მე მართალი ვარ! ლეკვი ეხლა დაბრმავებულია, როგორც ღამურა.

— თქვენი აღლო სწორეა, უპასუხეს იმას. თქვენ უღიდესი საქმე გამოიკვლიეთ. როცა ამას ამბობდენ ისინი, გარს ეხვევოდენ პატრონს და ხელს ართმევდენ. მაგრამ მე ამას არ ვაქცევდი ყურადღებას. მივარდი საწყალს ჩემ ლეკვს და დაუწყე ენით სისხლის წოვა. ის-კი მომეკრა მე და ნელ-ნელა ყმურდა. პატარა ხნის შემდეგ ის დავარდა -- ძირს, დაჩუმდა და აღარ ყმურდა. პატრონმა დაანება ლაპარაკს თავი და დაუკრა ხარი მოსამსახურეს.

— ეს ლეკვი მიწაში ჩაფალი, ცოტა შორს ბაღის ბოლოს, თქვა იმან და ისევ დაიწყო გაცხარებით ლაპარაკი.

მე მოსამსახურეს გამოვეკიდე; მიხაროდა, რომ ეხლა ჩემი ლეკვი თავისუფალი იყო, მეგონა დაიძინა.

VIII

ქართული

საქართველო

ჩვენ ბევრი ხანი ვიარეთ და მივედით ბალის კუთხეში, სადაც მე და ბავშვები ვთამაშობდით ხოლმე. მოსამსახურემ დაიწყო მიწის თხრა. მე გავიგე, რომ ის ჩემ ლეკვს უსათუოთ მიწაში ფლავს და მიხაროდა, რადგანაც მეგონა რომ როგორც მარცვალი ამოდის, ისე ჩემი ლეკვი ამოვა-მეთქი და როცა ჩემი პატრონის ცოლ-შვილი ჩამოვიდოდა, გაეხარდებოდათ. მე ვცადე მოსამსახურესათვის მეშველა მიწის თხრაში, მაგრამ ეს ოხერი დაკოქლებული ფეხი მიშლიდა. როცა მან კიდევაც ჩაფლა ლეკვი, გადამისვა თავზე ხელი და მითხრა:

— საწყალო ძაღლო, შენ ხომ იმისი ბავშვი გადაარჩინე!

ეს ორი კვირაა, რაც იმ ადგილას ვზივარ, სადაც ჩემი ლეკვი ჩაფლეს, მაგრამ მიწიდან არაფერი არ ამოვიდა. მე თანდათან ვშინდებოდი, მაგრამ არ შემიძლია ავხსნა, რათ მომდიოდა აგრე. აღარც სმა და ჭამა შემეძლო. მოსამსახურეებს მოჰქონდათ ჩემთვის მშვენიერი საქმელები, მაგრამ მე მათზე გული არ მიმდიოდა. ერთხელ მოვიდნენ ისინი ჩემთან და მითხრეს:

— საწყალო ძაღლო! წამოდი ჩვენთან. ნუ დაგვიღონე გული.

მე ეს ყველაფერი ძალიან მაშინებს, ისე დავსუსტდი, რომ აღარ შემიძლია ფეხზე დგომა. საღამოზე, როცა მზე ჩადიოდა და ბინდებოდა, მოსამსახურეები ერთმანეთში რალასაც ლაპარაკობდნენ, მე არ მესმოდა, მაგრამ იმათ სიტყვებზე მე გული მიმდიოდა.

— ბატონის ბავშვებს ჯერ არაფერი არ გაუგიათ, ამბობდნენ ისინი—ხვალ დილაზე შინ დაბრუნდებიან და გვკითხავენ: —სად არის ჩვენი საყვარელი ლეკვი? ვინ გაბედავს და ეტყვის:

„საწყალი თქვენი პატარა ლეკვი წავიდა იქ, სადაც ყველა ცხოველები მიდიან.“

ირ. ფერაძე.

(თარგმანი)

ცხოველები ცხელი ქვეყნებისა.

ნიანგი (ხვითქი).



ინა წერილში ხომ გაიმბეთ, რამდენად უხვი და მრავალგვარია ცხელი ქვეყნების მცენარეულობა. ახლა ცხოველებს არ იკითხავთ? უთვალავი სხვა და სხვა გვარი ცხოველებია, რომელთაც განცვიფრებაში მოჰყავსთ მნახველი თავის სიდიდე-სიპატარავით, სხეულის აგებულობით, ფერად-ფერადობით და სილამაზით! იქ შეხვდებით დიდ-ვეებერთელა მხეცებსაც და სულ პატარ-პატარა ტანის ცხოველებსაც, ლამაზ ცხოველებსაც და მახინჯებსაც, მშვიდ ცხოველებსაც, რომელნიც ადამიანს არ ერჩიან, და ავებსაც, რომელნიც ადამიანს არ ზოგავენ. მწერები იცის იმ ქვეყნებში ისეთები, რომელნიც გაცილებით უფრო დიდებია ჩვენებურ მწერებზე და უფრო ლამაზებიც. მაგალითად ზოგი იქაური ბუზანკალი ადამიანის მუშტის ოდენაა. იმ-სიდიდე პებლებს შეხვდებით, რომ შვიდი გოჯის სიგრძეზე იშლება ხოლმე მათი ფრთები. ჩვენს ქვეყანაში რომ პატარ-პატარა ანკარებია (ანკარა—იმერეთში ძღაგვი) და სხვა მორჩილი ტანის გველები, ისე კი არ არის ცხელ ქვეყნებში: იქ ვენერთელა ტანისა და საოცარი გესლიანი გველებია, სიგრძით რამდენიმე აღლი. მდინარეებში და ჭაობებში სცხოვრობს ერთნაირი ცხოველი, რომელიც გარეგნობით ძალიან ჰგავს ჩვენებურ ხვლიკს. ეს არის ნიანგი, ანუ ხვითქი. იმ ქვეყნებშივე იცის ვეფხი, რომელიც საოცრად ჰგავს ჩვენებურ კატას, მაგრამ ტანად კატაზე უფრო დიდია რამდენჯერმე და მეტად საშიშო, მეტად მოყვარული სისხლისა. იქვე იცის ლომი, რომელსაც უწოდებენ ოთხფეხთა მეფეს, რადგან იგი ძალიან ღონიერი, წარმოსადგვი და ლამაზია: ამ წერილში მინდა გაგაცნოთ ნიანგი.

აფრიკის მდინარეებში და ზოგ ადგილას ქაობენ მის ცხელ რად შეხედებით უშველებელ ტანის ნიანგებს. გარეგნობით ნიანგი, როგორც ზევით არის ნათქვამი, ხელიკსა ჰგავს, მხოლოდ საოცრად დიდია ხელიკთან შედარებით. იგი სცოცხლობს ას წლამდის; ამ ხნის განმავლობაში თანდათან იზრდება, ცოტ-ცოტად ემატება ტანის სიდიდე და ბოლოს ზოგიერთი სიგრძით სამი საყენი გახდება ხოლმე. ტანი აქვს მოგრძო და განიერი, თავი ბრტყელი და დაბალი, ტუჩი მოგრძო და წინ გაშვერილი; კისერი მოკლე; კული უფრო გრძელი აქვს ტანზე, ცერალმა ბრტყელი, რომელიც ძალიან შვე-



ლის ცურვაში და ხელს უწყობს მის მარდათ მიმოხვრას წყალში. პირი აქვს დი. ცხების ორსავე მხარეზე ჩამწკრივებული აქვს მაგარი კბილები, რომლებითაც ადვილად შეუძლია გასტკვიროს ადამიანი, თუ კი იგდო პირში, ზურგზე, გვერდებზე და მუცელზე, აგრეთვე კულზე ასხია სქელი გაძვალებული ტყავი და სქელი ქერქლები, თითქო აბჯარი აუსხამსო. ამის წყალობით არის, რომ თოფი ვერას დააკლებს ნიანგს, თუ პირში არ მოხვდა ტყვია, ან იღლიაში.

საზოგადოდ უწყლოდ სიცოცხლე არ შეუძლია ნიანგს, თუმცა კი ამოსვლით ხშირად ამოდის ნაპირებზე და ერთ ასიოდე ნაბიჯზე მოშორდება კიდევ მდინარეს, მეტზე თითქმის არასოდეს. როგორც იცით ცხელი ქვეყნების ამზავი, იქ ხან წვიმებია ხანგრძლივი, ხან ხმელი ტაროსი, ხანგრძლივი გვალება. აი სწორედ მაშინ, როდესაც ხანგრძლივი გვალება იწყება, ქაობები და მდინარეები შრება, მაშინ იწყება ნიანგების გაჭირვება. ამ დროს იგინი გაეხვევიან ხოლმე ქაობების და მდინარეების შოლამში და რამდენისამე თვით მიეცემიან ძილს;



ბოლოს დაიწყება თუ არა წვიმიანობა და წყალი გაქრება თუ არა, გამოიღვიძებენ, გამოცოცხლდებიან და იწყებენ მშრომლობას. მაშინ ბედნიერი დღეებია მათთვის. წყალში ღონიერი ნიანგი, გამბედავი და კარგად ემარჯვება მიმოხვრა, ხმელეთზე კი სიმარჯვეს ვერ იჩენს და მზღალია. ხმელეთზე იმისთვის ამოდის ხოლმე, რომ ქვიშოვანს ნაპირზე დაისვენოს, ზურგი გაითბოს მზეზე, ინებივროს. რამდენად ღონიერია ნიანგი და გამბედავი, იქიდგანა სჩანს, რომ ხშირად ჩაითრევს ხოლმე წყალში ადამიანს, ხარს, ძროხას, აქლემს, დაახრჩობს წყალში და მერმე შესქამს. ბევრი შემთხვევა ყოფილა ცხელ ქვეყნებში იმისთანა, რომ ნიანგების მსხვერპლად გამხდარან მდინარეებში მობანავე ადამიანები და მგზავრები, რომელთაც მდინარე უნდა გაეარათ.

ჩვეულებრივს საზრდოს ნიანგისას შეადგენს სხვა და სხვა ცხოველი; ძალიან ერჩის იგი თევზებსა და, თუ მშვიერია, ლემსაც კარგად მიირთმევს. იმისთვის, რომ ვინადირო და საზრდო ვიშოვო, წყალს თავს არ ანებებს, არ ამოდის მდინარიდან. არის კი შემთხვევა, როდესაც ღამით ამოდის წყლიდან და მიდის ხმელეთზე დიდ მანძილზე, მაგრამ ამ შემთხვევაში ახალ წყალს ეძებს, რომ საჭიროების დროს იქაც გაიჩინოს ბინა.

ერთხელ ნაწვიმარზე დიდი ნალვარევი ერთოდა მდინარეს. ნიანგი თურმე ამოვიდა ამ მდინარიდან, აჰყვა ნალვარეს და დიდი მანძილი გაიარა, ძალიან დაშორდა თავის ადგილ-სამყოფელს. ამ დროს დაიწყო გვალვა. ნალვარევი დაშრა, მხოლოდ აქა-იქ; შორი-შორს ნახავდით გუბეებს, დენით კი აღარსად სდიოდა წყალი. ნიანგმა შეატყო ცუდად იყო საქმე და დაბრუნდა უკან თავის მდინარისაკენ; თოთხავდა, ერთი გუბიდან მეორეში გადადიოდა გაქირვებით და ძლივს იბრუნებდა სულს. ბოლოს გუბეებიც რომ დაშრა, აღარ იცოდა, რა ექნა, როგორღა მიეხწია თავის ბინაზე. მაშინ იგი გაჩერდა ნალვარევის კალაპოტში და გაეხვია იქ ქვიშაში და შლამში, თავი დაიმარხა თითქმის ერთი საყენის სიღრმეზე. გავიდა კარგა ხანი. აი. სწორედ იმ ადგილას, სადაც ნიანგი იყო ჩაფლული, დაბანაკდნ ერთი სწავლული მოგზაური და


მისი მხლებლები. ამათ წყალი დასჭირდათ; ჰხედავენ წყალი არ მოიძევა, იფიქრეს, მოდი აქ ნალვარევის კალაპოტში ორმო გავთხაროთ, იქნება ამოვანინოთ წყალიო. დაიწყეს თბრა და როდესაც ამოსთხარეს თითქმის სამი ადლის სიღრმე, უცებ დაინახეს, რომ რაღაც ვეებერთელა ნაცრისფერი ინძრევა მიწაში. მუშებს შიშისაგან თავზარი დაეცათ და სწრაფად ამოვარდენ ორმოდან. ბოლოს, როდესაც კარგად დაუკვირდენ მოგზაურები, ნახეს, რომ ეს რაღაც ვეებერთელა ცოცხალი ნიანგის კუდია. შემდეგ მოისახრეს კუდის მიხედვით და სადაც თავი უნდა ყოფილიყო, იქ დაუწყეს თბრა. როდესაც შეატყეს, რომ აი საცა არის თავი გამოჩნდებოა, დაჰკრეს იმ ალაგას ხელშუბი და კეფა გაუხეთქეს ნიანგს. მერმე მთელი სხეულის სიგრძეზე გასჭრეს მიწა და ამოიღეს დიდი ნიანგი, რომლის სიგრძე აღმოჩნდა ხუთი ადლი და თორმეტი გოჯი.

ნიანგი ძალიან მოყვარულია სისხლისა და არ ჰზოგავს არც ოთხფეხს და არც ადამიანს, თუ დაინახა წყლის პირად ახლოს, ან წყალში მიმავალი. ერთხელ სუდანში (აფრიკაშია) ერთს კაცს შეეცურებია მდინარეში ნავი და ანკესით თევზის ქერას შეექცეოდა. გარშემო მყუდროება იყო. არსაით ხმაურობა არ ისმოდა და ვერავინ იფიქრებდა, რომ აქ საშიში რამეაო. თურმე წყალს ქვეშ ფრთხილად მოახლოებია ამ კაცს ნიანგი და მან არაფერი არ იცის. ერთის თვალის დახამხამებაში ეს კაცი სადღაც გაჰქრა, გაჰქრა ისე, რომ ხმის ამოღებაც კი ვერ მოასწრო. იქვე მოშორებით მდგარიყვენ სხვები და დაენახათ, როგორ მოხდა ეს უბედურობა. მათ თურმე მხოლოდ თვალი მოჰკრეს ნიანგის თავს, რომელიც ელვის სისწრაფით გამოჩნდა წყლიდან და უცებ ისევ ჩაყურყუმალდა. ამ დროს ნავიც გადაბრუნდა წყალში და ხმაურობა მოესმათ. ამ სახით ჩაითრია ნიანგმა წყალში კაცი, რომელიც ნავში იდგა და თევზაობდა.

რაკი ამისთანა ბოროტია ნიანგი, ადამიანიც არ ჰზოგავს მას. ჰზოცავენ ნიანგებს თოფით, ჩანგლებით და ხელშუბებით. მეგობარი მათ არავინ გააჩნიათ, ერთ პატარა ჩიტს გარდა. ამ



ჩიტის სახელია ტროქილუსი. ძალიან შეთვისებულნი არიან მათი ერთმანერთთან ტროქილუსი და ნიანგი. მოჭფრინდება ხოლმე ტროქილუსი, დაჯდება ნიანგის ტანზე, როდესაც იგი გამოშვებურდება წყლის პირად, და მიმოდის მის ზურგზე, იჩხრიკება, ეძებს თუ რამ პაწია ცხოველები ამოჰყოლია წყლიდან. მერმე ნიანგი პირს გააღებს დიდზე; ტროქილუსი აფრინდება და პირში ჩაუჯდება. მიმოდის მის კბილებსა და კბილებს შუა, იჭექება, იჩხრიკება, რომ გამოაცალოს კბილებიდან საკმლის



ქ ა ი მ ა ნ ი .

ნარჩენები და წურბლები, რომელნიც მოჰკიდებია პირში ნიანგს წყალში ყოფნის დროს. ამ ნამცეცებსა და წურბლებს თითონა სკამს ჩიტი. ნიანგს ძალიან ესიამოვნება ამისთანა სამსახური და სრულიად არაფერს ავნებს ამ ჩიტს. დიდხანს ძვეს ხოლმე ასე პირდადებული ნიანგი, რომ გაასუფთავებინოს თავის მეგობარს ჩახა, მოიშოროს თავიდან წურბელები. თუ საშიშო რამ მოეღოს ნიანგს, ტროქილუსი მაშინვე იგრძნობს ამას, სწრაფად აფრინდება და შეჭქნის ჭყვილს. ნიანგი დაი-

ძვრის მაშინ და ისარივით პირდაპირ მიაშურებს მდინარის ნაპირს, რაც ძალი და ღონე აქვს. ამიტომ ამბობენ ტროპიკულსა, იგი ნიანგის ყარაულიაო.

აბა ახლა ყური დამიგდეთ და გიამბობთ როგორ მრავლდება ეს ოთხფეხი ქვეწარმავალი. დედალი ნიანგი ამოსხრის ხოლმე ქვიშოვანს ნაპირზე ორმოს, ჩადებს შიგ კვერცხებს— ოცს, ორმოცს, ზოგჯერ მეტსაც (ასამდის) და წააყრის ზევიდან ქვიშას. კვერცხები ერთიმეორეზეა მოწყობილი. სიდი-



გ ა ვ ი ა ლ ა .

დით ბატის კვერცხებს მოგვაგონებენ. დედა-ნიანგი ხანდახან მივა ხოლმე იქ, სადაც მარხია კვერცხები, და დაათვალიერებს იმ ადგილს, რომ შეიტყოს, ხომ არაფერი დაშავებია კვერცხებს. როდესაც გამოჩეკის დრო მოახლოვდება, მივა კვერცხებთან და დაჰყურებს, ხომ არაფერი ხმა ისმის იქიდგანაო; თითონაც გამოეხმაურება, დაუძახებს შვილებს, ანუ თავის წიწილებს. თუ წიწილებმა ხმა გასცეს, მაშინ გაჰქექავს

ქვისას, კვერცხებს გამოაჩენს და დაეხმარება მათ, რომ გამოვიდნენ ნაქუტიდან. ნიანგის წიწილების ხმა, კვერცხების ხმა, რო მოისმის, ადამიანის სლოკინსა ჰგავს. ახლად გამოჩენილი ნიანგი მაშინვე გაექანება წყლისაკენ და იწყებს იქ სრულიად თავისუფალ ცხოვრებას.

მარტო აფრიკაში კი არ იბოვება ნიანგი; ნიანგები ცხოვრობენ აგრეთვე აზიაში და ამერიკაშიაც, მხოლოდ ეს ნიანგები სხვა ჯიშისა არიან და სახელწოდებაც სხვა აქვსთ. ამერიკულ ნიანგს ეძახიან ჭაიშანს და აზიურს—გაკააჯას. სამხრეთ ამერიკაში, როგორც მოგვითხრობს მეცნიერი ჰუმბოლდტი, ჭაიშანის ქონს ხმარობენ კუქის გასაწმენდ წამლად, ჯუჯაბად, თეთრს ხორცს კი ზოგიერთ ადგილებში სკამენ ისე, როგორც ჩვენ ძროხის ხორცსა ვსკამთ. აფრიკაშიაც ზანგთა ტომის ადამიანებს გემრიელ საქმელად მიაჩნიათ ნიანგის ხორციც, ქონიც და კვერცხებიც.

აღეჭსი ჭიჭინაძისა.



ჯეჯილი



აქმაწვილო ნახ ატებიახი ჟურნალი

მსლა პირველი

წელიწადი.

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლ.

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი „ჯეჯილი“

თბილისში ელირება 4 მ. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5. ნახევარი წლით 3 მ.

ცალკე ნომერი 10 კ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ: **ჭუსაინსში** წიგნის მაღაზიას „**იმერეთ**“ს და ბათუმში მ. **კლანდაძეს**.

ფოსტის აღრესი: Вь тифлисъ вь Ред. Грузынского дѣтскаго журнала „Джелжили“

რედ.—გამომცემელი ან. თუმანაშვილი წერეთლისა.

Открыта подписка на 1910 годъ на газету

„ЗАКАВКАЗЬЕ“

(ГОДЪ ВТОРОЙ)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисъ:	Съ пересылкой въ другіе города:
за годъ 6 р. — к.	за годъ 8 р. — к.
за полгода 3 р. 50 к.	за полгода 4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Отдѣльные №—5 коп. Загра, лицу вдвое. За перемѣну адреса городского на иногородній—1 р., съ иногородняго на иногородній—50 коп.

Адресъ редакціи: Гифлисъ, Эриванская площадь, д Гургенова, общій входъ съ конторой нотаріуса Мгеброва. Редакція открыта отъ 9-ти до 4-хъ час. дня и отъ 7-ми до 8-ми час. вечера.

Лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня.

Редакторъ-Издатель Г. 1. Амираджибѣ.

სახალხო გაზეთი

1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

უოველ დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელს გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება.

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით--5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ეველგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში:

„სახალხო გაზეთი“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, № 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან—სახლის ქუჩა, თავად-ახნ. ქარვასლა; ნაძალადევიში მეპატრონე მელიტონ დოდოშვილთან—მაგისტრალნი ქუჩზე, გრიშოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სიხელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

ხელის მომწერთა საუზრადღებოდ

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ ვინიცობა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამატარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 8-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакция „Сахалхо газети“ Семену Пашалишвили